საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 82 (626) ხუთშაბათი, 22 აპრილი, 1993 წელი ფასი 6 მანეთი

ედუარდ შევარდნაძე თურქეთში

ანკარა. 21 აპრილი. ათასობით და ათიათასობით ანკარელი მოვიდა დღეს თურქეთის რესპუბლიკის მეჯლისის შენობაში თურქეთის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის ცხედართან გამოსამშვიდობებლად. გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ხსოვნის პატივსაცემად, აქ მოვიდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაციები. სხვებთან ერთად განსვენებულთან გამოთხოვების სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო დელეგაციამ, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე მეთაურობს. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

დღესვე თურქეთის პრეზიდენტის გამოთხოვების სამგლოვიარო სადილზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის თაოსნობით ერთმანეთს შეხვდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი და სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი, რუსეთის ვიცე-პრემიერი გიორგი ხიჟა და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი.

ეს შეხვედრა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და ბოლო დროის მოვლენათა შორის ნომერ პირველ სენსაციად მიიჩნიეს, რადგან ასეთი შეხვედრის მოწყობას შუამავლობა ყარაბაღის მთელი კონფლიქტის მანძილზე ბევრმა გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ სცადა, მაგრამ ამაოდ. დღესვე შედგა აბულფაზ ელჩიბეის და ლევონ ტერ-პეტროსიანის — ორი კონფლიქტური სახელმწიფოს მეთაურის პირისპირ შეხვედრა და დიალოგი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს დღის განმავლობაში მრავალი შეხვედრა ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის აქ ჩამოსულ სახელმწიფო დელეგაციათა მეთაურებთან. ჯერ კიდევ ცერემონიალის დაწყებამდე სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს, უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კრავჩუკს, სომხეთის პრეზიდენტს ლევონ ტერ-პეტროსიანს, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს, საუდის არაბეთის, რუმინეთის, იაპონიის, კუვეიტის და სხვა სახელმწიფოთა დელეგაციების მეთაურებს.

ყაზახეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ გაიმართოს შეხვედრა ორი ქვეყნის სახელმწიფო მეთაურებს შორის უმაღლეს დონეზე, რომლის დროსაც ხელს მოაწერენ მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივ დიდ ხელშეკრულებას.

სომხეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ მოკლე ხანში ედუარდ შევარდნაძე ერევანს ესტუმრება და სომხეთი და საქართველო ხელს მოაწერენ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ანკარაში ედუარდ შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა თურქეთის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს და შეთანხმდნენ, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მეგობრული ვიზიტით ეწვევა თურქეთს.

• • •

დღესვე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა მეჯლისის შენობაში ოფიციალური სამგლოვიარო დარბაზობა გამართა პრეზიდენტ თურგუთ ოზალის დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილე დელეგაციებისათვის. ამ მიღების დროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს საქმიანი შეხვედრები ჰქონდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰიქმეთ ჩეთინთან, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურთან ჯიმი ბეიკერთან, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ველაიათისთან, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან მიცოტაკისისთან, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრთან ვან დე ბრუკთან, ირლანდიის პრემიერ-მინისტრთან ქალბატონ რობინსონთან.

• • •

დღესვე გერმანიის პრეზიდენტმა გერჰარდ ვაიცზეკერმა, რომელიც ამ ქვეყნის დელეგაციას მეთაურობს, გერმანიის საელჩოში სადილი გამართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად, შეხვედრამ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

დღესვე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს თავის რეზიდენციაში ესტუმრა სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. ორი სახელმწიფოს მეთაურმა მოილაპარაკეს ერევანში მომავალი შეხვედრის შესახებ, რომელიც უახლოეს დროში გაიმართება და ლევონ ტერ-პეტროსიანმა მხარი დაუჭირა ედუარდ შევარდნაძის წინადადებას, რომ მომზადდეს და გაიმართოს ამიერკავკასიის სახელმწიფოების ლიდერთა სამეულის შეხვედრა. ლევონ ტერ-პეტროსიანმა გამოთქვა მზადყოფნა ამ შეხვედრისათვის. აღინიშნა, რომ ამჟამად ორივე ქვეყნის ლიდერებს ღრმად აქვთ გაცნობიერებული იმის საჭიროება, რომ კონფლიქტიდან გამოსავალი მხოლოდ [illegible]ობიანი დიალოგია.

საქართველოს დელეგაციის შინ გამომგზავრების წინ სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრს, სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილეს კლიფორდ უორდენს.

• • •

საქართველოს დელეგაცია ანკარიდან თბილისს 21 აპრილს გვიან ღამით დაბრუნდა.

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

სოხუმი. საქინფორმის კვირის სამი დღის მანძილზე აფხაზეთში არ ყოფილა სიცხლისმსხვერპლი სამხარო მოქმედება. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრში აცნობეს, ქართველთა და აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირების ხაზზე მდინარე გუმისთაზე და ოჩამჩირის რაიონში 20 აპრილს შედარებით სიმშვიდე იყო.

ტყვარჩელი. ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს საქართველოს ჯარები უწევენ, რესპუბლიკის ენერგეტიკოსებმა დაამთავრეს ელექტროგადამცემი ხაზის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. ეს ხაზი უზრუნველყოფს ენგურჰესიდან ტყვარჩელში ელექტროენერგიის მიწოდებას. მაგრამ აფხაზ „ბოევიკთა" განლაგების ადგილას ამ მაღალი ძაბვის ხაზის დაზიანების გამო ქალაქი კვლავ უსინათლოდ არის. საქართველოს ენერგეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა სთავაზობს აფხაზ სეპარატისტებს უფულო საჭირო მასალას დაზიანების გამოსასწორებლად, მაგრამ ისინი ჯიუტად უარს ამბობენ ამ დახმარებაზე.

სენაკი. საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, რომ 20 აპრილს სენაკში ავტომანქანას, რომელშიც იმყოფებოდნენ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული სამეგრელოს რეგიონში, პარლამენტის წევრი შალვა კეკელია და მძღოლი ფრიდონ ალანია, დაუდგენელმა ორმა ბოროტმოქმედმა პისტოლეტიდან ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად დაზიანდა ავტომანქანა. საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის. საპასუხო სროლის შემდეგ ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მივიღებთ თუ არა ელექტროენერგიას

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და მოსახლეობას — საქართველოს ენერგეტიკის დეპარტამენტის სხვადასხვა სადგურიდან ელექტროენერგიის მომხმარებლებს, მისი თითქმის 15 მილიარდი მანეთი ვალი აქვთ. ეს საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა დეპარტამენტის თავმჯდომარემ იური ქედიამ.

შექმნილმა მდგომარეობამ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აიძულა სახელმწიფოსაგან აელო ბანკის 5 მილიარდი მანეთი თანხის 65-პროცენტიანი კრედიტი. მეორე მხრივ, აგვიხსნა ი. ქედიამ, „თურქმენგაზი" გვემუქრება, გაზის მიწოდებას შეგიწყვეტთ, თუ უახლოეს ხანს დეპარტამენტი არ გადაიხდის 6.5 მილიარდ მანეთ დავალიანებას. შედარებისათვის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური ყოველდღიურად იყენებს 80 მილიონი მანეთის გაზს.

დეპარტამენტის თავმჯდომარის აზრით, თუ მოვალეები არ გადაიხდიან თავიანთ ვალს და „თურქმენგაზი" შეწყვეტს გაზის ექსპორტს საქართველოში, მდგომარეობა რესპუბლიკის ენერგოსისტემაში კატასტროფულ ხასიათს მიიღებს.

ამ დღეებში

გვესტუმრებიან „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

თენგიზ სიგუამ მიიღო საერთაშორისო სემინარის მონაწილეები

თბილისში მიმდინარეობს საერთაშორისო სემინარი მიგრაციისა და ლტოლვილთა საკითხებზე. სემინარში მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები: ჰანს პიტერ ბოუ — გაეროს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის საკითხთა ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, მარია სიმენსი — გაეროს ლტოლვილთა კომისიის ესპანეთის ბიუროს ხელმძღვანელი, რიჩარდ პერუში — მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის იურისტი, ლეოპოლდო პრინჩიპე და მიშელ მეიერი — საქართველოში წითელი ჯვრის მისიის ხელმძღვანელები და სხვ.

სემინარის მონაწილენი მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ. საუბრის დროს შეეხნენ მიგრაციისა და ლტოლვილთა პრობლემებს. ბატონმა პრემიერმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკას არა აქვს ამ საკითხების გადაწყვეტაში საერთაშორისო ორგანიზაციათა გამოცდილება. „ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ გაეროს გამოგზავნის საქართველოში ექსპერტებს ჩვენი პრობლემების გადაჭრაში დასახმარებლად. ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ სასურსათო საქონლით ლტოლვილთა მთლიანად უზრუნველყოფას, რადგან საქართველოს ეკონომიკა დეპრესიის პერიოდს განიცდის და სრული დემონტაჟი სჭირდება", — თქვა მან.

ბატონმა ლეოპოლდო პრინჩიპემ განაცხადა, რომ შვეიცარიის წითელი ჯვრის ჰუმანური დახმარების პარტია მაისის პირველ რიცხვებში ჩამოვა. ეს ძირითადად ბავშვთა კვების პროდუქტები იქნება.

საუბრისას აღინიშნა, რომ ამგვარი სემინარები რეგულარულად იმართება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. საქართველოს წარმომადგენლებს კვლავაც მიიწვევენ ასეთ სემინარებზე. შემდეგი შეხვედრა გადაწყვეტილია გაიმართოს მოსკოვში მომავალ კვირაში.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

აქტუალური ინტერვიუ

ჰოლანდიიდან დაიმედებული დავბრუნდით...

ჰოლანდიაში დასრულდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს დელეგაციაც, რომელსაც მეთაურობდა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე.

— ჰააგაში, — უთხრა მან საქინფორმის კორესპონდენტს, — შეიკრიბნენ ეგრეთ წოდებულ ჰოლანდიის ჯგუფში გაერთიანებული ქვეყნების წარმომადგენლები. ჩვენთან ერთად იქ იყვნენ ისრაელის, კვიპროსის, ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვენიის, ხორვატიის, უკრაინის, სომხეთის, მოლდოვის წარგზავნილები. დღის წესრიგში იდგა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ახალი პოლიტიკის შემუშავების საკითხები იმ უკანასკნელი რეალიათა გათვალისწინებით, რომლებიც გამოწვეულია, ძირითადად, სსრ კავშირის დაშლით, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე რთული პროცესებით.

— **ახეთი შეხვედრის მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ალბათ, საუბარი საქართველოსაც შეეხო?**

— სიტუაცია მსოფლიოში შეიცვალა, საჭიროა კორექტივების შეტანა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავალუტო, საკრედიტო პოლიტიკაში. სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა ჩემი მოხსენება, რომელშიც გავაანალიზე საქართველოში ამჟამად შექმნილი ვითარება. საქმე ეხებოდა ახალ მიდგომას საკრედიტო პოლიტიკაში, ფინანსურ რეგულირებას, ეკონომიკური დახმარების გაწევას, მეურნეობრიობაში რეფორმათა მიმდინარეობას.

ცხადია, რომ საზღვარგარეთელი კოლეგების, ექსპერტების რეკომენდაციებს ჩვენ ვითვალისწინებთ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ სჭირდება შესაბამისი ტრანსფორმაცია ჩვენს პირობებში გამოყენებისათვის. რადგან, მაგალითად, მარტო საკუთრების ფორმის შეცვლით ვერ ამოქმედდება გაჩერებული საწარმო, ვთქვათ, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა. კრედიტების, საფინანსო ინექციების გარეშე ვერ განახლდება ელმავლების აწყობისათვის საჭირო დეტალებისა და აგრეგატების მოწოდება.

— **რამდენად ნათლად აქვთ გააზრებული ჩვენს ეკონომიკაში, ფინანსებში შექმნილი საქმის ვითარება მსოფლიოში ისეთ აღიარებულ ავტორიტეტებს, როგორიც არის მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი?**

— რა თქმა უნდა, ჩვენს დაუხმარებლად არ გარკვეულან ისინი ჩვენში მიმდინარე პროცესებში, იმ სირთულეებში, რომლებსაც განიცდის დღეს საქართველო. აშკარაა წარმოების დაქვეითება, გადასახდელის უზარმაზარი დეფიციტი. სწორედ ამიტომ დაისვა ჰააგაში საკითხი საქართველოსათვის ისეთი დახმარების გაწევის შესახებ, რომელსაც უწევენ სხვა ქვეყნებს „საგანგებო გაუთვალისწინებელი გარემოებების" მუხლით. ეს კომპენსირებული დაფინანსება ვრცელდება იმ ქვეყნებზე, სადაც მკვეთრად არის შემცირებული ექსპორტი, დიდია დანახარჯები ხორბლის, ნავთობპროდუქტების იმპორტზე...

სხვათა შორის, მრავალი ეკონომიკური საკითხი განიხილეს პოლიტიკურ საკითხებთან კონტექსტით. ასე იყო აფხაზეთის პრობლემის, საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული პოლიტიკის განხილვისას. შეხვედრაზე მოიწონეს წინადადება რუსეთისათვის კრედიტების გადაცემის საკითხი დაუკავშირონ მის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის ფინანსური ბლოკადის შეწყვეტას. საუბარი შეეხო იმასაც, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე 1961-1992 წლებში გამოშვებული ნაღდი ფულის ნიშნების დაბრუნების თაობაზე, ანდა, თუნდაც საგრძნობლად შეარბილოს მათი დაბრუნების პირობები.

— **მაშასადამე, თქვენ ჰააგიდან გარკვეული იმედებით დაბრუნდით?**

— დიახ, მით უმეტეს, რომ იქ გაიმართა მრავალი სასარგებლო საუბარი შეხვედრაზე წარმოდგენილი ქვეყნების წამყვან ეკონომისტებთან, ფინანსისტებთან. კერძოდ, მიღწეულია მორიგება მთელ რიგ ქვეყნებთან საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის კოორდინაციის შესახებ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიალოგი ჰოლანდიის წარმომადგენლებთან, მის ვიცე-პრემიერთან, ეროვნული ბანკის თავმჯდომარესთან, რომლებმაც შემოგვთავაზეს საქართველოს საბანკო სისტემის თანამშრომელთა ჯგუფის სტაჟირება ჰოლანდიაში, დახმარება მომავალი საკუთარი ვალუტის სასტაბილიზაციო ფონდის შექმნაში.

ჰოლანდიის მთავრობის ხელმძღვანელებმა შემოგვთავაზეს აგრეთვე შუამდგომლობა ჩვენი რესპუბლიკის მიერ 70 მილიონი ეკიუს თანხის ევროკრედიტის დაფარვის პირობებში შემსუბუქებაში, 10 მილიონი ეკიუს ოდენობით ახალი კრედიტის გამოყოფაში. გარდა ამისა, ჰოლანდია, შესაძლოა, ჩამოწერს საქართველოს ვალს, ანუ უარს იტყვის მისთვის იმ სავალუტო სახსრების გადაცემაზე, რომლებიც დასჭირდა ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ბანკში შესვლისათვის. განაცხადეს ისიც, რომ ჰოლანდია აპირებს საქართველოს გამოუყოს რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარი ჰუმანიტარული დახმარების სახით ლტოლვილების, სტიქიური უბედურებების დროს დაზარალებულ პირთა დახმარებისათვის.

ზურაბ გრძელიშვილი.

თურქეთის გენერალურ საკონსულოში

ბათუმი, 21 აპრილი. (საქინფორმის საკ. კორ.). თურქეთის რესპუბლიკის ბათუმის გენერალურ საკონსულოს ეწვივნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ალექსანდრე გობრონიძე და ნოდარ დიასამიძე, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

გენერალურ კონსულს შაქირ ფიქილს გამოუთქვეს სამძიმარი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის გარდაცვალების გამო.

სამძიმრის წიგნში სტუმრებმა დატოვეს ჩანაწერები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ თურგუთ ოზალი იყო თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკოსი, მისი პრეზიდენტობის დროს თურქეთში განხორციელდა რადიკალური რეფორმები, რის წყალობითაც ქვეყანამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი თურქეთისა და საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის ახალ ეტაპს.

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე

თუ ხელშეწყობა გვექნა

1993 წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესასრულებლად ქარელის რაიონში მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება. ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ჩატარდა კრებები, სადაც გასული წლის შედეგები შეჯამდა და დაისახა მიმდინარე წლის სამეურნეო ამოცანები.

პირველი მარტის მდგომარეობით რაიონში სახნავ-სათესი ფართობი 10585 ჰექტარი იყო, საიდანაც საშემოდგომო კულტურები 4741 ჰექტარზეა დათესილი. ნათესების განოყიერება მიმდინარეობს, მაგრამ ტემპი დაბალია, რაც გამოწვეულია იმით, რომ საკმარისი რაოდენობით არ გვაქვს აზოტოვანი სასუქები, ხოლო რაც გვაქვს, ფართობებში მისი შეტანაც გაძნელებულია დიზელის საწვავის უქონლობის გამო.

კმაყოფილებით აღვიქვით მთავრობის დადგენილება სახელმწიფო საწარმოებისათვის შეღავათიანი სესხების მიღების შესახებ, რის შედეგადაც დაჩქარდა რუსთავის ქიმიური ქარხნიდან სასუქების გადმოზიდვა და გამოკვებების მიზნით ჯეჯილში შეტანა, მაგრამ თუ დროულად არ შემოვიდა დიზელის საწვავი, ხორბლის მოსავალი საგრძნობლად დაეცემა.

საგაზაფხულოდ რაიონში დაითესება 3300 ჰექტარი ფართობი. აქედან, სიმინდი 600 ჰექტარი, ლობიო 500, შაქრის ჭარხალი 485-500, საგაზაფხულო თავთავიანები — 670, ბოსტნეული — 200 და ერთწლოვანი ბალახები 1000 ჰექტარი.

ამ ფართობების დასათესად საჭირო თესლეულით თითქმის უზრუნველყოფილი ვართ. დანარჩენ თესლზე მოთხოვნილება კი დროულად შევატყობინეთ მეთესლეობის გაერთიანებას, ნაწილი უკვე გამოყოფილია.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ დახმარება გვჭირდება შხამ-მასალებით უზრუნველყოფის საქმეში, რადგან თითქმის ვეღარ ვმარაგდებით.

არ გვაქვს ინდუსტრიული ზეთი, რაც 400 ტონამდე გვესაჭიროება. საჭიროა აგარის მინერალური ზეთების საწარმოს საკმაო რაოდენობით ინდუსტრიული ზეთი გამოეყოს.

რაც შეეხება ტექნიკას, იგი სრულ მზადყოფნაშია. გამართულია ტრაქტორების დიდი უმრავლესობა. მაგრამ მარაგნაწილებით დახმარება ალბათ მაინც დაგვჭირდება.

საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩასატარებლად გვესაჭიროება არა ნაკლებ 600-700 ტონა დიზელის საწვავი და 20-25 ტონა დიზელის ზეთი. სულ არა გვაქვს სოლიდოლი და სხვა საცხები მასალები. ტრანსპორტი გვყოფნის, მაგრამ თითქმის ოთხი თვეა ბენზინი საერთოდ არ მიგვიღია.

თუ ხელშეწყობა გვექნა, დარწმუნებული ვარ, საგაზაფხულო სამუშაოებს აგროტექნიკის სრული დაცვით და მაღალხარისხოვნად ჩავატარებთ.

უშანგი მეყანწიშვილი,
ქარელის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ნომერშია

◉ ერთი დღე მარნეულელთა თავკაცის გვერდით. — 3

◉ დამნაშავეობას ერთად უნდა ვებრძოლოთ. — 4

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანაბრების საპროცენტო განაკვეთების გაზრდის შესახებ

ფასების ლიბერალიზაციის პირობებში მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაზრდის, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს 1993 წლის 1 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის დაწესებულებებში არსებულ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები:

მოთხოვნამდე ანაბარი	— 15 პროცენტი
ვადიანი ანაბარი:	
1 წელზე მეტი და 3 წლამდე	— 40 პროცენტი
3 წელზე მეტი 5 წლამდე	— 50 პროცენტი
5 წელზე მეტი 8 წლამდე	— 60 პროცენტი
8 წელზე მეტი 10 წლამდე	— 70 პროცენტი
10 წელზე მეტი	— 80 პროცენტი
ბავშვთა მიზნობრივი ანაბარი	— 80 პროცენტი

1990 წლის 1 ნოემბრამდე გახსნილი ვადიანი და დამატებითი ვადიანი ანაბარი — 15 პროცენტი

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 16 ივლისის 735 დადგენილება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი. 1993 წლის 14 აპრილი.

• • •

დადგენილების კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის თავმჯდომარეს ვლადიმერ პატიაშვილს. მან გვითხრა:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეს დადგენილება დიდი სოციალური მნიშვნელობის ღონისძიებაა, რომელმაც ნაწილობრივ უნდა შეუმსუბუქოს შემნახველი ბანკის მეანაბრეებს ინფლაციით მიყენებული ზარალი. არადა, მეანაბრე დღეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე დაუცველი ადამიანია სოციალური თვალსაზრისით. იგი ენდო სახელმწიფოს შემნახველი ბანკის სახით და ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი არ აჩქარდა და არ გამოიტანა თავისი დანაზოგი, რომელიც ვინ იცის როგორი გაჭირვებით, ზოგჯერ მანეთ-მანეთ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უგროვებია „შავი დღისათვის".

შარშან ივლის-აგვისტოში შემნახველ ბანკში განხორციელდა საინდექსაციო ღონისძიება — გაორმაგდა დაცული და ახლად შემოტანილი ანაბრები, რაც ქვეყნისა და ხალხისათვის ოდნავ ხელისშემოთქმის საშუალება აღმოჩნდა, თუ ამ ღონისძიებას არ მივაღებთ მხედველობაში, მეანაბრე თითქმის არაფის არ აინტერესებდა. ამიტომ შევედით ჩვენ მინისტრთა კაბინეტში სათანადო წინადადებით, რომელსაც დაუჭირეს მხარი.

რასაკვირველია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ახალი საპროცენტო განაკვეთების შემოღება ყველა პრობლემას მოუხსნის მეანაბრეს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელსაც უსათუოდ მოჰყვება სხვებიც და უნდა მივაღწიოთ, რათა შევძლოთ ანაბრების სრული ინდექსაცია ფულის არსებული კურსის შესაბამისად. სამწუხაროდ, ამის საშუალება ღრმა ეკონომიკური კრიზისის გამო, როდესაც წარმოების დაცემა კვლავ გრძელდება, სახელმწიფოს დღეს არ გააჩნია. იმედი გვაქვს, რომ დადგება ის დრო, როდესაც ეს შესაძლებელი გახდება და ის 3 მილიონ 200 ათასი მეანაბრე, რომელსაც ჩვენს ბანკში აქვს შემოტანილი თავისი დანაზოგი, მიიღებს სრულ კომპენსაციას. მანამდე კი ჩვენ ყველა ზომა უნდა ვიხმაროთ, რათა ნაწილობრივ მაინც ავუნაზღაუროთ მეანაბრეს ინფლაციით მიყენებული ზარალი. ამაში ხედავს ბანკის მრავალათასიანი კოლექტივი თავის უმთავრეს მოვალეობას.

აღსანიშნავია, რომ ამ დადგენილების განხორციელებით მეანაბრეები წლიური გაანგარიშებით დამატებით მიიღებენ 8 მილიარდ მანეთს, თანაც ეს თანხა არ იბეგრება და მთლიანად დაიფარება შემნახველი ბანკის შემოსავლებით, რაც თავის მხრივ ბანკის კომერციული საქმიანობის მკვეთრი გააქტიურების შედეგად მიიღწევა.

1 ივლისიდან გაიზრდება საპროცენტო დანარიცხები შემნახველი ბანკის ფასიან ქაღალდზე — სერტიფიკატზე, რის შესახებ უახლოეს დღეებში მივცემთ სათანადო ინფორმაციას მკითხველებს. ვვარაუდობთ, რომ იგი გაუტოლდება 10-წლიან ანაბარს და შეინარჩუნებს იმ უპირატესობებს, რომლებიც მხოლოდ სერტიფიკატს გააჩნია.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვაცნო ჩვენს საზოგადოებას, პირველ რიგში კი სერტიფიკატების მფლობელებს: როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 15 მარტს დამთავრდა საქართველოს რესპუბლიკაში შეძენილი ძველი სერტიფიკატების გამოცვლა ახალზე. მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩვენთან კვლავ მოდიან ძველი სერტიფიკატების მფლობელები და გვეუბნებიან, რომ სხვადასხვა მიზეზებით (ელექტროენერგიის გამორთვების გამო არ მუშაობდა ტელევიზორი და რადიომაუწყებლობა, საწვავის უქონლობისა და უგზოობის გამო არ მუშაობდა ტრანსპორტი და ხალხი გაზეთს ვერ ღებულობდა) დროზე ვერ შეიტყვეს ამ კამპანიის ვადების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ზარალად უჯდება შემნახველ ბანკს, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ სერტიფიკატების ჩაბარების ვადა გავაგრძელოთ 1 მაისამდე.

რაც შეეხება თვით ახალ სერტიფიკატებს, ისინი იყიდება ერთობ დიდი ინტენსიურობით. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო თვენახევრის განმავლობაში გაიყიდა 280 მილიონი მანეთისა, რაც მეტყველებს მოსახლეობაში მათ პოპულარობასა და თვით ამ ფასიანი ქაღალდების საიმედოობაზე დღევანდელი მწვავე ინფლაციის პირობებში.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი ვილა ნიკოლაიშვილი იურიდიული კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 15 აპრილი.

შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში

16 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ა. ჩიკვაიძემ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბ-ნი ვან ფენ სიანი.

საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, ელჩმა ცალსახად გამოხატა თავისი მთავრობის პოზიცია და განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი საზღვრების ურღვევობის პრინციპის ერთგულია.

ბ-ნმა ვან ფენ სიანმა თქვა, რომ ჩინეთში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის მომავალ ვიზიტს, რომელიც ა. წ. 2-4 ივნისს გაიმართება.

ელჩმა აგრეთვე აღნიშნა, რომ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში ხელშეკრულებათა დადებას დიდი მნიშვნელობა ექნება ორ სახელმწიფოს შორის ნორმალური, მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საკუთრების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საკუთრების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრებითი ურთიერთობანი რეგულირდება ძირითადი კანონით, ამ კანონით, შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკუთრების შესახებ ადგენს საკუთრებითი ურთიერთობების წარმოშობის, დაცვისა და შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2. საკუთრების უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

საკუთრების სუბიექტს აქვს საკუთრების ობიექტის ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება. მესაკუთრეს უფლება აქვს საკუთრებაზე თავისი უფლებამოსილებანი მთლიანად ან ნაწილობრივ, მუდმივად ან დროებით გადასცეს სხვა სუბიექტს, განახორციელოს თავისი ქონების მიმართ ნებისმიერი ქმედება, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას.

მესაკუთრე თავის ქონებას იყენებს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 3. საკუთრების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ობიექტებია:

მიწა და მისი წიაღი, შიგა და ტერიტორიული წყლები, საჰაერო სივრცე, კონტინენტალური შელფი და მისი რესურსები საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ფლორა და ფაუნა, საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, საბინაო ფონდი, ინტელექტუალური მოღვაწეობის პროდუქცია, ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგი, ძვირფასი ლითონები და ქვები, ფული, ფასიანი ქაღალდები და ფასეულობები, აგრეთვე სხვა ქონება.

მუხლი 4. საკუთრების სუბიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების სუბიექტებია:

— საქართველოს რესპუბლიკა;
— ავტონომიური რესპუბლიკები;
ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები;
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები;
— სამეურნეო გაერთიანებები;
— საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციები;
— უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები და იურიდიული პირები,
— უცხო სახელმწიფოები;
— საერთაშორისო ორგანიზაციები.

საკუთრებაში არსებული ქონების ოდენობა და ოდენობა შეუზღუდავია.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა და იურიდიულ პირთა, საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრებაზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველო მონაწილეობს.

მუხლი 5. საკუთრების ფორმები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ფორმებია:

ა) სახელმწიფო საკუთრება
ბ) კერძო საკუთრება (ინდივიდუალური, ჯგუფური, კოოპერაციული)
გ) საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრება
დ) შერეული საკუთრება

მუხლი 6. საკუთრების ფორმების თანასწორუფლებიანობა

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა თანასწორუფლებიანია, დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით და ხელშეუხებელია.

მუხლი 7. ქონებრივი უფლებები საკუთრების ობიექტზე

მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებანი გადასცეს სხვა პირს, რომელიც ამ უფლებამოსილებას განახორციელებს კანონის შესაბამისად მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

საკუთრების სუბიექტის მიერ საკუთრებაზე თავისი უფლებამოსილების ნებაყოფლობით დროებით ან მუდმივად, სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში ამ უკანასკნელის უფლებებისა და ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია ისეთივე გარანტიებით, როგორიც საკუთრების სუბიექტისა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. მიწაზე საკუთრების უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში მიწაზე დაშვებულია საკუთრების ყველა ფორმით. მესაკუთრის მიერ მიწის გასხვისების შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს პირველი მყიდველის უფლება. ცალკეულ მესაკუთრეთა მიერ მიწის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 9. საკუთრების უფლების წარმოშობა და შეწყვეტა

საკუთრების უფლება წარმოიშობა საკუთრების სუბიექტების მიერ შესაბამისი ობიექტის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით შეძენის ან შექმნის შედეგად.

ობიექტის შეძენის შედეგად საკუთრების უფლება წარმოიშობა შეძენილი ობიექტის საკუთრების სუბიექტზე გადაცემის მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება არსებობდეს ქონება მესაკუთრის გარეშე, რომლის ფლობის და სარგებლობის პირობები, აგრეთვე საკუთრების უფლების წარმოშობა მასზე რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

საკუთრების უფლების შეწყვეტა ქონებაზე ხდება მესაკუთრის მიერ საკუთრების ნებაყოფლობითი გასხვისების, ან მესაკუთრის გარდაცვალების, აგრეთვე საკუთრების ობიექტის განადგურების შემთხვევაში.

საკუთრების უფლების შეწყვეტა ქონებაზე მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაკავშირებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქონების იძულებით გასხვისებასთან — რეკვიზიციასთან და კონფისკაციასთან.

მუხლი 10. გადახდევინების მიქცევა მესაკუთრის ქონებაზე

მესაკუთრე პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

მოქალაქეთა იმ ქონების ნუსხა, რომელზედაც არ შეიძლება მოქცეულ იქნეს გადახდევინება, განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

II. სახელმწიფო საკუთრება

მუხლი 11. ზოგადი დებულებანი სახელმწიფო საკუთრების შესახებ

სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივ ადმინისტრაციულ, ტერიტორიულ ერთეულთა საკუთრება, რომლის ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება საკუთრების შესაბამისი სუბიექტების მიერ უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სახელმწიფო საკუთრების ობიექტები

სახელმწიფო საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი.

მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს მიწის წიაღი, საჰაერო სივრცე, შიგა და ტერიტორიული წყლები, კონტინენტალური შელფი და მისი რესურსები, სახელმწიფო ხაზინის ქონება, შეიარაღებული ძალების, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების და სამართალდამცავი ორგანოების ქონება, აგრეთვე სხვა ქონება, რომელთა საერთო ნუსხა განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით და მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

მუხლი 13. სახელმწიფო საკუთრების სახეები

სახელმწიფო საკუთრების სახეებია:

— საქართველოს რესპუბლიკის საკუთრება;
— ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრება;
— ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საკუთრება.

საკუთრების ობიექტების ნუსხა საკუთრების ცალკეული სახეების მიხედვით განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით და მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

III. კერძო საკუთრება

ა) ინდივიდუალური საკუთრება

მუხლი 14. ზოგადი დებულებანი ინდივიდუალური საკუთრების შესახებ

ინდივიდუალური საკუთრება წარმოადგენს ქონებას, რომლის მიმართაც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს ერთპიროვნული ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილება.

ინდივიდუალური საკუთრების საფუძველია:

— ფიზიკურ პირთა შრომა და მისი ანაზღაურება,
თასიან ქაღალდებში და საწარმოთა საწესდებო კაპიტალში (ფონდებში) დაბანდებული სახსრები და მიღებული შემოსავლები,
— სამეურნეო და კანონით დაშვებული სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავალი.
— ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება.
— ამ მუხლში ჩამოთვლილი სახსრებით შეძენილი ქონება.

ინდივიდუალური საკუთრების მემკვიდრეობის უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

მუხლი 15. ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები

ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას.

ბ) ჯგუფური საკუთრება

მუხლი 16. ზოგადი დებულებანი ჯგუფური საკუთრების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ჯგუფური საკუთრება კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი სამეურნეო გაერთიანებების ჯგუფურად ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებით არსებული ქონება. ეს გაერთიანებებია კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი ფიზიკური პირების, ფიზიკური და ან იურიდიული პირების ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (საქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების, ასოციაციების, კონცერნების, სამეურნეო ამხანაგობების და სხვ.) საკუთრება.

ჯგუფური საკუთრება წარმოიშობა მონაწილეთა წილის, გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული და შეძენილი ქონების ხარჯზე.

მუხლი 17. ჯგუფური საკუთრების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში ჯგუფური საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას.

გ) კოოპერაციული საკუთრება

მუხლი 18. ზოგადი დებულებანი კოოპერაციული საკუთრების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში კოოპერაციული საკუთრება ფიზიკური და ან იურიდიული პირების ერთობლივად ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებით არსებული ქონება.

კოოპერაციული საკუთრება წარმოიშობა მონაწილეთა საპაიო შენატანების, სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული და შეძენილი ქონების ხარჯზე.

მუხლი 19. კოოპერაციული საკუთრების ობიექტები

კოოპერაციული საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას.

IV. საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრება

მუხლი 20. ზოგადი დებულებანი საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ გაერთიანებათა (ორგანიზაციათა) საკუთრება კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების ერთობლივად ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებით არსებული ქონება.

მუხლი 21. საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების საკუთრება

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ შორის მოძრაობებს, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივ ფონდებს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, რომლებიც საჭიროა მათი საწესდებო მიზნების განხორციელებისათვის და იქმნება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საზოგადოებრივი, პოლიტიკური გაერთიანებებისა და ფონდების სახსრების ხარჯზე, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას. პოლიტიკური გაერთიანების საკუთრებაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც არ არის აკრძალული პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება ამ ორგანიზაციების წესდებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 22. რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება

რელიგიურ ორგანიზაციებს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, მ. შ. ნაგებობა, საკულტო საგანი, საწარმო, რომელთაც მათ შეიძინეს და შექმნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი სახსრებით ან შემოწირულობების სახით გადაეცათ მოქალაქეების ან იურიდიული პირების მიერ, ან გადასცა სახელმწიფომ ან შეიძინეს კანონით გათვალისწინებული სხვა წესით, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას.

V. შერეული საკუთრება

მუხლი 23. შერეული საკუთრება

საქართველოს რესპუბლიკაში შერეული საკუთრება წარმოიშობა საკუთრების სხვადასხვა ფორმის ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. შერეული საკუთრების ობიექტები შეიძლება იყოს ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეკუთვნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას.

VI. უცხო სახელმწიფოთა, მოქალაქეთა (ფიზიკურ პირთა) და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება

მუხლი 24. უცხო სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა საკუთრება

უცხო სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება ჰქონდეთ საკუთრება, რომლის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, აგრეთვე სათანადო ხელშეკრულებებით.

მუხლი 25. უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრება

უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში იქონიონ ამ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ყველა ობიექტი, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც განეკუთვნებიან მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას.

მუხლი 26. საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრება საზღვარგარეთ

საქართველოს სახელმწიფოს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საკუთრება საზღვარგარეთ, რომლის ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობითა და სათანადო ხელშეკრულებებით.

VII. საკუთრების უფლების დაცვა

მუხლი 27. ძირითადი დებულებანი საკუთრების უფლების დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო.

მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მისი უფლებების ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრა, თუნდაც ეს დარღვევები დაკავშირებული არ იყოს ქონების ჩამორთმევასთან.

მუხლი 28. მესაკუთრის ინტერესების დაცვა კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მისი უფლებების შეწყვეტის დროს

ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილება მესაკუთრის უფლების შეწყვეტის შესახებ, თუ მას მესაკუთრე არ ეთანხმება, ძალაში ვერ შევა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე. დავის განხილვის დროს წყდება აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.

მუხლი 29. მესაკუთრის უფლებების დამრღვევი აქტების ბათილობა

ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების აქტები, რომლებითაც ირღვევა მესაკუთრის ან მასთან გათანაბრებული პირის უფლებები ქონების მფლობელობის, სარგებლობის ან განკარგვის სფეროში, ითვლება ბათილად სასამართლოს წესით მესაკუთრის ან მასთან გათანაბრებული პირის სარჩელით, რომელთა უფლებებიც შეილახა.

ამ შემთხვევაში მესაკუთრისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება მთლიანად ასეთი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ.

ტერმინები

1. **საკუთრების უფლება** — საკუთრების სუბიექტის (მესაკუთრის) საკუთრება ობიექტზე წარმოშობილი მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება
2. **საკუთრების სუბიექტი** — საკუთრების უფლების მქონე პირი — მესაკუთრე
3. **საკუთრების ობიექტი** — საკუთრების სუბიექტის კუთვნილი ქონება
4. **კერძო საკუთრება** — ფიზიკურ პირთა, ფიზიკურ და ან არასახელმწიფოებრივ იურიდიულ პირთა მფლობელობაში, სარგებლობასა და განკარგვის უფლებამოსილებაში არსებული ქონება
5. **სახელმწიფო საკუთრება** — სახელმწიფოს მფლობელობაში, სარგებლობასა და განკარგვის უფლებამოსილებაში არსებული ქონება
6. **ინდივიდუალური საკუთრება** — კერძო საკუთრების ფორმა, ფიზიკური პირის მფლობელობაში, სარგებლობასა და განკარგვის უფლებამოსილებაში არსებული ქონება
7. **ჯგუფური საკუთრება** — კერძო საკუთრების ფორმა, ფიზიკურ და ან არასახელმწიფოებრივ იურიდიული პირთა ჯგუფურ მფლობელობაში, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებაში არსებული ქონება
8. **შერეული საკუთრება** — კერძო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გაერთიანების შედეგად წარმოშობილი საკუთრება
9. **სამეურნეო გაერთიანება** — ჯგუფური საკუთრების სუბიექტი, ფიზიკური პირების, ფიზიკური და ან იურიდიული პირების ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არასახელმწიფოებრივი გაერთიანება ერთობლივი სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მიზნით
10. **პირველი მყიდველის უფლება** — სახელმწიფოს, ფიზიკური ან იურიდიული პირის უპირატესი უფლება საკუთრების ობიექტის შეძენის დროს

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, როდესაც გაუქმებულია რესურსების ცენტრალიზებული განაწილება და საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ ფორმად რჩება საწარმო-დამამზადებლებსა და მომხმარებლებს შორის დამყარებული პირდაპირი კავშირები, ჯერ კიდევ მოუგვარებელია რესპუბლიკის საერთო ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების მექანიზმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციისა და საქონლის სახელმწიფო შესყიდვების და მიწოდების რეგულირების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. სახელმწიფო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფორმად ჩაითვალოს შეკვეთები საქონლის (პროდუქციის) შესყიდვასა და მიწოდებაზე, სახელმწიფო საჭიროების სამუშაოების (მომსახურების) შესრულებაზე.

სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) მიწოდება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, რომელთა დაფინანსება ხდება რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე.

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) შესყიდვისა და მიწოდების ეკონომიკური პრინციპები და დებულებანი № 1 დანართის მიხედვით.

3. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროების შემდეგი ჩამონათვალი:

— რესპუბლიკური სახელმწიფო პროგრამები;
— სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკა, ფუნდამენტური გამოკვლევების, ინოვაციური და სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ჩათვლით;
— გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები მინერალურ-სანედლეულო ბაზის კვლავწარმოების მიზნით, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოები, აგრეთვე ბუნებადაცვითი ღონისძიებანი საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტური დაფინანსების ფარგლებში;
— საქონლის საექსპორტო მიწოდება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური, მათ შორის სავალუტო-საკრედიტო ვალდებულებათა შესასრულებლად;
— აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების შექმნისა და შენარჩუნებისათვის და აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის, საგანგებო სიტუაციებისა და გაუთვალისწინებელ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო პროდუქციის მიწოდება;
— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების აუცილებელი დონის შენარჩუნებისათვის საქონლის მიწოდება;
— იმ საქონლის მიწოდება და სამუშაოთა შესრულება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, აგროსამრეწველო კომპლექსის, საერთო სარგებლობის ტრანსპორტის და კომუნიკაციების, კულტურის, ხელოვნების, ტურიზმისა და ფიზიკური კულტურის, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების (საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტური დაფინანსების ფარგლებში) სისტემების მყარ ფუნქციონირებას;
— საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის — ქალაქ თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და სხვა რეგიონალური საჭიროებისათვის საქონლის მიწოდება;
— რესპუბლიკური ინვესტიციებისა და საინვესტიციო პროგრამების რეალიზაცია;

4. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და იმ სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის წესი, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკა.

5. რეკომენდაცია გაეწიოს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისის და სხვა რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიზნობრივი რეგიონალური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს იხელმძღვანელონ წინამდებარე წესით.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ დამტკიცებული მიზნობრივი რეგიონალური პროგრამების დაფინანსება ხდება შესაბამისი ბიუჯეტებით ან ამ მიზნით მოზიდული (გამოყოფილი) არასაბიუჯეტო წყაროების ხარჯზე.

დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საქართველოს რესპუბლიკური მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის, აგრეთვე იმ სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების სამუშაოთა მეთოდური ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკა.

6. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) შესყიდვისა და მიწოდების, სამუშაოების (მომსახურების) შესრულების წესი.

7. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა და ბიუჯეტური დაფინანსების მომთხოვნმა სხვა ორგანიზაციებმა წარუდგინონ ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 აგვისტოსი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკური სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების პროექტები და ამ პროგრამების ბიუჯეტური დაფინანსებისათვის საჭირო განაცხადები.

რესპუბლიკური სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის მიმწოდებელთა ეკონომიკური სტიმულირების მიზნით ბიუჯეტური დაფინანსების განმცხადებლები საბიუჯეტო განაცხადების პროექტთან ერთად წარმოადგენენ წინადადებებს ეკონომიკური და სხვა შეღავათების მიცემის შესახებ.

8. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტიდან და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზის შეფასებიდან გამომდინარე, ახორციელებენ წარმოდგენილი პროგრამების პროექტების განხილვას და მათი ბიუჯეტური დაფინანსების განაცხადების ანალიზს ბიუჯეტის შესაბამისი მიმართულებების მიხედვით და ყოველწლიურად 1 სექტემბრამდე წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად რესპუბლიკური სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების დაზუსტებულ ჩამონათვალს და ამ პროგრამების რეალიზაციისათვის საჭირო საბიუჯეტო დაფინანსების წინადადებებს.

9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს ერთი თვის ვადაში 1993 წლის პროდუქციის წარმოების და საორიენტაციო მოცულობებისა და მათი გამოყენების მაჩვენებლების წარდგენა.

10. სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქცია წარიმართოს პრიორიტეტების მიხედვით.

11. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროსთან, სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1 თვის ვადაში განსაზღვროს სახელმწიფო საჭიროებისათვის გათვალისწინებული რესურსების მიზნობრივად გამოყენების საკითხი.

12. სახელმწიფო საჭიროებისათვის და მოღვაწეობის სხვა სფეროებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდებიან საქონლის (პროდუქციის) შესყიდვისა და მიწოდების ორგანიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საკონტრაქტო სისტემის შექმნა.

13. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს 1 თვის ვადაში წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადება, მის სისტემაში არსებული სამსახურების, ბირჟებისა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების ბაზაზე, რესპუბლიკის სახელმწიფო საკონტრაქტო სტრუქტურების შექმნის შესახებ.

14. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) შესყიდვისა და მიწოდების სახელმწიფო კონტრაქტების (ხელშეკრულებების) მომზადებისა და დადების წესი.

15. სახელმწიფო კონტრაქტების რეალიზაციის მიზნით სახელმწიფო დამკვეთები უზრუნველყოფენ საწარმო-მიმწოდებლებს აუცილებელი ფინანსური რესურსებით (საბიუჯეტო, ან არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე).

სახელმწიფო კონტრაქტების შესრულებისათვის აუცილებელი ნედლეული, მასალები, მოწყობილობა, მაკომპლექტებელი ნაკეთობანი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები შეძენილ უნდა იქნეს საწარმო-მიმწოდებლის მიერ პირდაპირ სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე ან საშუამავლო ორგანიზაციების მეშვეობით, აგრეთვე სასაქონლო ბირჟებზე, ბაზრობებზე, აუქციონებზე თავისუფალ ფასებში (გარდა იმ საქონლისა, რომელთა ფასებზეც შენარჩუნებულია სახლმწიფო რეგულირება).

სახელმწიფო დამკვეთებს შეუძლიათ გადასცენ თავიანთი უფლებამოსილება შესაბამის საწარმოებს და ორგანიზაციებს.

16. სახელმწიფო დამკვეთებმა უნდა უზრუნველყონ დაკვეთების გადაცემის საკონკურსო ორგანიზაცია სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებაზე ღია ან დახურული ვაჭრობების, ტენდერების, კონკურსების ჩატარების გზით.

17. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად გაითვალისწინოს რესპუბლიკის ბიუჯეტში სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის მისაწოდებლად ის საჭირო სახსრები, რომელიც აუცილებელია ამ საქონლის მიწოდების წინასწარი მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის.

18. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების აღმასრულებელმა ორგანოებმა ხელი შეუწყონ:

სახელმწიფო დამკვეთებს საკონკურსო საფუძველზე სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის მიწოდებაზე დაკვეთების განთავსებაში;

საწარმოებს და ორგანიზაციებს სამეურნეო კავშირების დამყარებასა და შენარჩუნებაში სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის წარმოებისა და მიწოდების უზრუნველყოფისათვის.

19. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ სახელმწიფო დამკვეთების წარდგინების საფუძველზე (საჭიროების შემთხვევაში) განიხილოს და შეიტანოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში წინადადებანი ცალკეული საწარმო დამამზადებლებისათვის სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის მიწოდებაზე კონტრაქტების დადების აუცილებელი რეჟიმის შემოღებაზე.

20. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო დეპარტამენტმა სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ პროდუქციის მიწოდების შესრულების სტიმულირების წესი.

21. სახელმწიფო საჭიროებისათვის შეკვეთების ხარჯზე მისაწოდებელი საქონლის საგარეო ბაზარზე რეალიზაციით მიღებული სავალუტო ამონაგები მთლიანად გამოიყენება რესპუბლიკის სახელმწიფო საჭიროებისათვის (საქონლის შემხვედრი შესყიდვა, სავალო ვალდებულებათა დაფარვა და ა. შ.) დასაკმაყოფილებლად.

სავალუტო სახსრებით შიდა ბაზარზე შესყიდული საქონლის რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგები გადაირიცხება საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში (იმ დანახარჯების გამოკლებით, რომელიც დაკავშირებულია ამ საქონლის რეალიზაციასთან).

22. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში განახორციელოს სახელმწიფო დამკვეთების მიერ გამოყოფილი დაფინანსების გამოყენების, მიზნობრივი პროგრამებისა და სხვა სახელმწიფო საჭიროების დაკვეთების შესრულების აღრიცხვა და შემოიღოს სტატისტიკური აღრიცხვის შესაბამისი ფორმები.

23. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატასთან ერთად უზრუნველყონ სახელმწიფო დამკვეთების მიერ სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის შესყიდვისა და მიწოდების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი საბიუჯეტო დაფინანსების გამოყენების კონტროლი.

24. დადგენილება და დებულება სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) შესყიდვისა და მიწოდების ზოგადი პრინციპების შესახებ გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 30 მარტის № 264 დადგენილებით (დანართი № 1)

დებულება სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) შესყიდვისა და მიწოდების ზოგადი პრინციპების შესახებ

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონტრაქტის (ხელშეკრულების) საფუძველზე სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონელზე (პროდუქციაზე, სამუშაოზე, მომსახურებაზე)* შეკვეთების ფორმირებისა და მისი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში (დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად) განთავსების, შესყიდვისა და მიწოდების სამართლებრივ და ეკონომიკურ პრინციპებს და დებულებებს.

I. სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) მიწოდება

1. სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდება განისაზღვრება, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილება პროდუქციაზე, რომელიც აუცილებელია რესპუბლიკის საერთო ეროვნული პრობლემების გადასაწყვეტად, სოციალურ-ეკონომიკური, თავდაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური, ბუნების დაცვისა და სხვა მიზნობრივი პროგრამებისა და ამოცანების სარეალიზაციოდ. სახელმწიფო საჭიროებების უზრუნველყოფა ხდება საბიუჯეტო სახსრების, ან ამ მიზნით გამოყოფილი არასაბიუჯეტო წყაროების საშუალებით.

2. სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლის (პროდუქციის) მიწოდება ხორციელდება:

— საქართველოს რესპუბლიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამების (რესპუბლიკური მნიშვნელობის კომპლექსური პროგრამების, მათ შორის ფუნდამენტური სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) უზრუნველსაყოფად;

— იმ სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, რომლებშიც მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკა;

— საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური, მათ შორის სავალუტო-საკრედიტო ვალდებულებათა შესასრულებლად პროდუქციის საექსპორტო მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით;

— საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი მიწოდებების უზრუნველსაყოფად;

— თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უშიშროების სათანადო დონის შესანარჩუნებლად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოების არსებობისა და რესპუბლიკის ბიუჯეტის სტრუქტურის გათვალისწინებით, დადგინდეს შეკვეთების ფორმირებისა და განთავსების, შესყიდვისა და მიწოდების ორი დონე:

— საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის;

— რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკების და ქალაქ თბილისის საჭიროებისათვის.

II. მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ძირითადი პრინციპები

1. სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორის მიზნობრივ პროგრამებს ამუშავებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, რომელთაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო ავტონომიური ფორმირებებისა და ქალაქ თბილისის მიზნობრივ პროგრამებს ამუშავებს ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოები და ქალაქ თბილისის მერია.

მიზნობრივი პროგრამები შემუშავდება შესაბამისი ბიუჯეტების ფორმირების გათვალისწინებით.

მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისას აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს:

— პრიორიტეტი სოციალურ-ეკონომიკური, თავდაცვითი, სამეცნიერო-ტექნიკური, ბუნების დაცვისა და სხვა უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში;

— საბოლოო კონკრეტული შედეგისა და აუცილებელი ეკონომიკური ეფექტის მიღწევა ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში;

— ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსების შეჯერება;

— დარგობრივი და რეგიონალური ამოცანების შეთანხმებულობა და კომპლექსურობა.

2. სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამებისა და სხვა სახელმწიფო საჭიროებათა ჩამონათვალი მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან იმ არასაბიუჯეტო წყაროებიდან, რომლებიც განკუთვნილია ამ პროგრამების შესასრულებლად და სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ავტონომიური ფორმირებებისა და ქალაქ თბილისის მიზნობრივი პროგრამები, აგრეთვე სხვა რეგიონალური სახელმწიფო საჭირებათა ჩამონათვალი მტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ, ავტონომიური ფორმირებებისა და თბილისის მერიის წარდგინებით, ფინანსდება შესაბამისი ბიუჯეტებით, აგრეთვე ამ მიზნებისათვის განკუთვნილი არასაბიუჯეტო წყაროებით.

ყველა სახის მიზნობრივი პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეკონომიკური სტიმულირების შესაბამისი პირობებით.

3. სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების შესრულების ორგანიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განსაზღვრავს სახელმწიფო დამკვეთებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროგრამების რეალიზაციას.

4. სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო საჭიროებათა ჩამონათვალის დამტკიცების შემდეგ დამკვეთებს გამოეყოფათ საჭირო ფინანსური სახსრები, მათ შორის ვალუტა, ისინი ითვლებიან პასუხისმგებლად ამ პროგრამების შესრულებისა და სახელმწიფო საჭიროებათა უზრუნველყოფის საქმეში.

III. სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების მოცულობათა ფორმირება და განთავსება

1. საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში (მიმწოდებლებში) პროდუქციის შესყიდვისა და მიწოდებაზე შეკვეთების ფორმირება და განთავსება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სახელმწიფო დამკვეთების შესაბამისად, სახელმწიფო კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე.

2. სახელმწიფო კონტრაქტი არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საჭიროების უზრუნველყოფაში სახელმწიფო დამკვეთისა და მიმწოდებლის უფლებებსა და მოვალეობებს. იგი არეგულირებს ეკონომიკურ სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ურთიერთობებს მიმწოდებელსა და სახელმწიფო დამკვეთს შორის.

სახელმწიფო კონტრაქტის შეცვლა და შეწყვეტა ხდება მხარეების შეთანხმებით და ფორმდება დამატებითი ხელშეკრულებით.

სახელმწიფო კონტრაქტების რეალიზაციისათვის სახელმწიფო დამკვეთები მიმწოდებლებს უზრუნველყოფენ ფინანსური რესურსებით.

მიმწოდებლები დამოუკიდებლად იძენენ სახელმწიფო კონტრაქტების შესასრულებლად აუცილებელ მატერიალურ რესურსებს.

3. სახელმწიფო კონტრაქტებით მიწოდებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს და ამ კონტრაქტებით დადგენილ განსაკუთრებულ პირობებს.

სავალდებულოდ ითვლება პროდუქციის მიმართ წაყენებული იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, გარემოს დაცვას, პროდუქციის შეთავსებადობას და ურთიერთშენაცვლებას.

4. სახელმწიფო დამკვეთები:

— სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო კონტრაქტების დადებისას მიმწოდებელს შეარჩევენ საკონკურსო გზით, რესპუბლიკური და რეგიონალური ბაზრობის მოწყობისა და სხვა ღონისძიებათა გამოყენებით;

— დროულად, შეთანხმებულ ვადებში, მიმწოდებელს შეატყობინებენ სახელმწიფო კონტრაქტის შესაბამისად მისაწოდებელი პროდუქციის კონკრეტულ მიმღებთა ვინაობას (რეკვიზიტებს);

— მიმღებებთან ათანხმებენ სახელმწიფო საჭიროებისათვის განკუთვნილი მისაწოდებელი პროდუქციის ნომენკლატურას, მოცულობას, ვადებს;

— მიმწოდებელს აძლევენ გარანტიას იმის შესახებ, რომ მესამე პირი, რომელიც იღებს პროდუქციას სახელმწიფო საჭიროებისათვის სახელმწიფო კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქციის ღირებულებას გადაუხდის უცილობლად.

მიწოდებულ პროდუქციაზე ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება სახელმწიფო კონტრაქტით.

5. სახელმწიფო დამკვეთებს ნება აქვთ კონტრაქტის (ხელშეკრულების) საფუძველზე გადასცენ სახელმწიფო მართვის ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მათი ფუნქციების ნაწილი, მათ შორის სახელმწიფო საჭიროებისათვის განსაზღვრული პროდუქციის შესყიდვასა და მიწოდებაზე შეკვეთების ფორმირების და განთავსების უფლება.

IV. სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების შესრულების სტიმულირება

1. სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის და საქონლის მიმწოდებელთა ეკონომიკური სტიმულირების მიზნით, მათ მიეცემათ:

— შეღავათები მოგებიდან გადასახადზე, მიზნობრივი დოტაციები და სუბსიდიები;

— მიმდინარე და გრძელვადიანი კრედიტები შეღავათიან პირობებში;

— პროდუქციის საექსპორტო რეალიზაციის შემთხვევაში შეღავათიან პირობებში სავალუტო სახსრების დატოვების უფლება;

— სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება სახელმწიფო საჭიროებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მიწოდების მოცულობების ზრდის უზრუნველსაყოფად;

ეკონომიკური და სხვა შეღავათების სახეობებს, რაოდენობას და მიღების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შესაბამისი სახელმწიფო მართვის ორგანოების წარდგენებით.

2. სახელმწიფო კონტრაქტში შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც კონკრეტული შეღავათები, რომლებიც ამ დებულების მე-4 თავის პირველ პუნქტშია ჩამოთვლილი, ასევე სახელმწიფო საჭიროებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მიმწოდებლების სტიმულირების სხვა პირობებშიც.

V. პასუხისმგებლობა სახელმწიფო საჭიროების პროდუქციის მიწოდების შეუსრულებლობის შემთხვევაში

1. სახელმწიფო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების ერთ-ერთი მხარის მიერ შეუსრულებლობის ან არასათანადო დონეზე შესრულების შემთხვევაში (თუ ეს არაა გამოწვეული კონტრაქტით განსაზღვრული დაუძლეველი ძალით შექმნილ მოვლენებთან) ეს მხარე:

— აუნაზღაურებს მეორე მხარეს მიყენებულ ზარალს;

— კარგავს უფლებას მიიღოს შეღავათები როგორც ამ დებულების მე-4 თავის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი, ისე სახელმწიფო კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა პირობებით;

— ეკისრება სხვა პასუხისმგებლობაც, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და სახელმწიფო კონტრაქტის პირობებით.

2. მიმწოდებლებს, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო-საწარმოო დაწესებულებებს, ან რომელთა აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობს სახელმწიფო (ან სახელმწიფოს წილის ფარგლებში) და რომელთაც ბაზარზე უჭირავთ გარკვეული სახის პროდუქციის გაყიდვაზე დომინირებული მდგომარეობა ან აქვთ ტექნოლოგიური მონოპოლია ცალკეული სახის პროდუქციის წარმოებაზე, უფლება არა აქვთ უარი თქვან სახელმწიფო კონტრაქტის დადებაზე გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ შეკვეთის შესრულება ზარალს აყენებს წარმოებას.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დაუსაბუთებელ უარს ამბობს სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის შეკვეთის წარმოებასა და მიწოდებაზე სახელმწიფო კონტრაქტის გაფორმებაზე, ხოლო მიღებულია განკარგულება, რომელიც მას ავალდებულებს კონტრაქტის გაფორმებას სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებაზე, მიმწოდებელი უხდის მყიდველს პროდუქციის კონტრაქტით გათვალისწინებული ღირებულების რაოდენობის ტოლ ჯარიმას.

3. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადებში არ მოხდა სახელმწიფო კონტრაქტით გათვალისწინებული პროდუქციის მოცულობის მიწოდება, მიმწოდებელი უხდის მყიდველს პროდუქციის მიუწოდებელი რაოდენობის ღირებულების 50 პროცენტს პირგასამტეხლო ჯარიმის სახით. პირგასამტეხლო ჯარიმის გადახდა მოხდება ვალდებულებათა ფაქტიურ შესრულებამდე გასულ პერიოდში პროდუქციის მიუწოდებელი რაოდენობის გათვალისწინებით. სახელმწიფო კონტრაქტის ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლო ჯარიმის გარდა, მიმწოდებელი ანაზღაურებს მყიდველზე მიყენებულ ზარალს, თუ ჯარიმის თანხა არ აღემატება მიყენებული ზარალის ოდენობას.

პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება ამ დებულების მე-3 თავის მე-3 პუნქტში მოყვანილ მოთხოვნებს, აგრეთვე დაუკომპლექტებელი პროდუქცია, ითვლება მიუწოდებლად.

4. სახელმწიფო დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას (მთლიანად ან ნაწილობრივ):

— სახელმწიფო კონტრაქტით წარმოებულ პროდუქციაზე თუ დამკვეთი სრულიად აუნაზღაურებს მიმწოდებელს მიყენებულ ზარალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— პროდუქციის ღირებულების გადახდაზე თუ იგი არ აკმაყოფილებს ხარისხის განსაზღვრის შესახებ არსებულ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს, დამტკიცებულს სათანადო კანონმდებლობით.

5. სადავო საკითხები, რომლებიც წამოიჭრება მიმწოდებელსა და სახელმწიფო შემკვეთს შორის სახელმწიფო საჭიროების პროდუქციის მიწოდების სახელმწიფო კონტრაქტების დადების, შეცვლის, გაუქმების ან შესრულების დროს, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, განიხილება კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

* შემდგომში — პროდუქცია.

დრო, დრო არ ითმენს!..

ერთი დღე მარნეულელთა თავკაცის გვერდით

გია ჭელიძე

დღევანდელობამ, ომსა და შინააშლილობასთან ერთად, ერთი უმთავრესი საზრუნავიც გაგვიჩინა — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გამოვფხიზლოთ, ავაღორძინოთ, სამშობლოს სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენი სოფელი. უნდა დავთესოთ და მოვიწიოთ სარჩო-საბადებელი იმისათვის, რომ მტერთან მტრობა შევძლოთ და მოყვარესთან მოყვრობა.

დღეს შრომა, შრომითი რიტმის აღდგენა მინდვრებსა თუ საწარმოებში, არის მთელი ჩვენი ხალხის, თითოეული რაიონის, სოფლის, უმთავრესი ამოცანა, რომელიც თავისი მნიშვნელობით ომის [illegible] როდი ჩამოუვარდება.

ეს ომიც ჩვენი გადასახდელია, მასაც თავისი წინამძღოლები სჭირდება და ამიტომაც არის, რომ წარმატება ამ ფრონტზე ბევრად იქნება დამოკიდებული რაიონების თავკაცებზე, მათ ოპერატიულობაზე, გამჭრიახობასა და უნარზე.

როგორ მიდის ამ მხრივ საქმე ჩვენს რეგიონებსა თუ რაიონებში, ვინ როგორ უდგას მხარში ქვეყანას? — შევეცდებით ამ კითხვებზე გაგცეთ პასუხი პუბლიკაციათა ციკლში „ღონიერი სოფლისათვის", რომლის პირველი რეპორტაჟიც დღეს გვინდა შემოგთავაზოთ.

ადგილობრივი მმართველობის ახალი, თანამედროვე, ქმედითი ინსტიტუტის შემოღება ერთიორი დღის საქმე რომ არ არის, ეს ყველამ კარგად ვიცით და ალბათ ამიტომაც არის, რომ ერთგვარი იმედით შევყურებთ ხელისუფლების მიერ უკანასკნელ ხანს მიღებულ რადიკალურ ღონისძიებებს: — ადგილობრივი მმართველობის სამსახურის, საქართველოს დიდ ქალაქებში მერიის ინსტიტუტის შემოღებას, ადგილობრივი ორგანოების არჩევნებისათვის მზადებასა და სხვა ღონისძიებებს. მაგრამ დრო, დრო არ იცდის, და იმათ, ვისაც დღეს ადგილებზე უპყრიათ ჩვენი რაიონებისა თუ რეგიონების მართვის სადავეები, მართებთ ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ სადავო დღეები საგაზაფხულო-სასოფლო სამეურნეო სამუშაოების დროულად წარმართვისა და დამთავრებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული თბილისის საგარეუბნო რაიონებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან მოამარაგონ დედაქალაქისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა სათანადო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით.

რა კეთდება ამ მხრივ თუნდაც მარნეულის რაიონში? — ეს დღეს ყველას აინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ გადავწყვიტე ერთი დღე გამეტარებინა რაიონის გამგეობის თავმჯდომარესთან, ბატონ ნოდარ მუმლაძესთან, რაზეც სიამოვნებით მოგვითხრობთ.

— რით დავიწყოთ? — შეხვედრისთანავე მკითხა ბატონმა ნოდარმა და თავისი სამაგიდო სამახსოვროში ჩაიხედა. საქმეს, მითუმეტეს მარნეულში, აბა რა გამოლევს, განსაკუთრებით ახლა, როცა საგაზაფხულო საზრუნავს თავის სხვა თავსატეხიც ემატება... ასე რომ, იძულებული ვარ დღევანდელ სამუშაო გრაფიკს მივყვე, მით უმეტეს, როცა პირველი პრობლემა მარნეულის ბატალიონის შექმნას ეხება და ამ ბატალიონის მომავალი წევრები უკვე გამგეობის სააქტო დარბაზში არიან შეკრებილნი.

დარბაზში შესვლისთანავე ბევრი ნაცნობი სახე დავინახე: აქ ძირითადად სოფლების: წერეთლისა და აღმაშენებლის მკვიდრნი არიან: ბარბაქაძეები, ხარშილაძეები, ნადირაძეები, კილაძეები, გოგრაძეები, ღვაჩლიძეები, დევაძეები, ჭელიძეები, ბოჭორიძეები, ერთი სიტყვით, ყველა ვისაც გული უძგერს საგულეში და სამშობლოს გასაჭირი გაუთავისებია.

ბატონი ნოდარი მადლობას უხდის თანამემამულეებს თანადგომისათვის და აცხადებს რომ მარნეულელთა ბატალიონში, რომელსაც იგი პირადად უხელმძღვანელებს, იბრძოლებს მისი ოთხივე ძმა, მისი მოადგილის რეზო ჩხიტუნიძის სამივე ვაჟი.

ბატალიონის წევრებთან ერთად მეც ინტერესით ვისმენ ამ დღეებში ბატონ ნოდარისა და სხვა მარნეულელ ხელმძღვანელთა აფხაზეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს. წინა დღეებში მათ სოხუმში ჩაუტანიათ მარნეულელთა ძღვენი — ტონობით შაქარი, ხორცი, ბრინჯი, ფქვილი, ყველი, სიგარეტი, ტანსაცმელი, იარაღი, ტყვია-წამალი.

მალე 250 მარნეულელი ვაჟკაცი, რომელიც აქვე მარნეულში გაივლის საბრძოლო მომზადებას, მზად იქნება სამშობლოს დამცველთა მწკრივში ჩასადგომად.

აი, ცოტა ხანში ბატონ ნოდართან ერთად მარნეულში განლაგებული რუსეთის ერთ-ერთი ყოფილი ქვედანაყოფის ტერიტორიას მივუყვებით.

ინტერესითა და გაკვირვებით ვათვალიერებ აქაურობას. გარეთ, ღია ცისქვეშ დგას გაპარტახებული საბრძოლო ტექნიკა, სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობა, რომელთა აღდგენასა და მწყობრში ჩაყენებას ალბათ დიდი მონდომება და ძალისხმევა დასჭირდება. რუსმა სამხედროებმა გაყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. მხოლოდ მცირეოდენი რამ თუ გადურჩა მათ მსახვრალ ხელს. აი ახლაც ბატონი ნოდარიც და მეც აქ იმისთვის ვართ მოსული, რომ თვალყური ვადევნოთ საწყობებში სასწაულით გადარჩენილი ტყვიაწამლის ყუთების დატვირთვას მანქანაზე, რომლებიც დღესვე გზას სოხუმისკენ აიღებენ.

ვუყურებ ყველაფერ ამას და ვფიქრობ: მართლაც, რამდენი თავსატეხი გაგვიჩინა ამ ომმა და შინააშლილობამ. ამიტომაც საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი რაიონი, რომელიც უშუალოდ არ იყოს დაკავებული ამ პრობლემებით. მარნეულის რაიონს კი ბევრ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთან ერთად ტერორისა და დივერსიების ტალღაც დაატყდა თავს. მოძმე სომხეთისკენ მიმავალი გაზსადენის, ხიდების, რკინიგზის აფეთქება აქ უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა უკანასკნელი ხნის მანძილზე. მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, ჯერაც დაუდგენელმა პირებმა მაინც მოახერხეს კიდევ ერთი აფეთქება მოეწყოთ ამ დღეებში. ეს მილიონობით ზარალს აყენებს როგორც საქართველოს, ისე სომხეთის ეკონომიკას. ამასთან, ძაბავს ურთიერთობას ჩვენს მეზობლებთან. გამოძიების შედეგები კი ჯერჯერობით არ ჩანს.

— სიმართლე გითხრათ, მეუბნება ბატონი ნოდარი, ისე ვარ შეწუხებული ამ გაუთავებელი დივერსიებით, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების უსუსურობით, რომ გადავწყვიტე ჩემი არხებით დამოუკიდებელი გამოძიებისათვის მომეკიდა ხელი. ვფიქრობ, რომ ტყუილად არ გავისარჯე, რაღაც ძაფს მივაგენი და მივდევ. დამამძიმებელი სიმპტომები უკვე გამოჩნდა, დასაზუსტებელი დამრჩა მცირეოდენი დეტალები და იმედი მაქვს, რომ ამ საქმეს მალე მთლიანად მოვფენ ნათელს.

ღმერთმა ქნას, მართლაც დაადგეს საშველი და შეწყდეს დივერსანტებისა და ტერორისტების დაუსჯელი პარპაში მარნეულის რაიონში. მიუხედავად ამისა და სხვა გაჭირვებისა, მარნეულელთა თავკაციც და გამგეობაც მაინც ახერხებენ აამოქმედონ, გააყოლიონ ადამიანები, შექმნან რაიონში ერთიანი შრომითი რიტმი და ატმოსფერო. ახლა აქ ყველას ერთი მიზანი ამოძრავებს: — მარნეულმა უნდა დაიბრუნოს ძველი პოტენციალი. ამისათვის, ამბობს ბატონი ნოდარი, უნდა როგორმე ავამოქმედოთ ჩვენთან განლაგებული ის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც მთელი დატვირთვით არ მუშაობენ. გამგეობის მთელი შემადგენლობა დღეს ამით არის დაკავებული. იმას რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ცდას არ ვაკლებთ, მაგრამ ხელისუფლებამაც უნდა დროულად მოგვხედოს ასეთ დროს და რაც შეიძლება ოპერატიულად გადაგვიჭრას ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს ძალებს აღემატება.

ღონიერი სოფლისათვის

— აი, ამ დღეებში — აღნიშნავს ნოდარი, — მოქალაქეობის კანონის მიღებით საშუალება მოგვეცა დადებითად გადავწყვიტოთ ჩვენი რაიონისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა — საკარმიდამო მიწის ნაკვეთები შევუვსოთ ადგილობრივ მოსახლეობას.

მარტო ჩემი წერილიდანაც ჩანს ეს, რომ სოფლის მეურნეობის საკითხებთან ერთად აქ იმდენი პრობლემაა გადასაწყვეტი — რომ გამგეობის თავმჯდომარის მთელი სამუშაო დღის ნახევარზე მეტი მიაქვს. აი, მივყვებით მარნეულის სანახებს ნოდარ მუმლაძის მანქანით, ვუყურებთ მინდვრად გამოსულ ადამიანებს, ტექნიკას და გული იმედით ივსება. ითესება საადრეო კარტოფილი, მარნეული ხომ ამ პროდუქციის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია. წელს აქ 700 ჰექტარზე დაითესება ეს კულტურა. რაც შეეხება მის შემოტანას თბილისში, მარნეულელები ამას მაისის ბოლოსათვის გვპირდებიან. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომელიც საწვავის ნაკლებობით იყო გამოწვეული, მარნეულის რაიონში მაინც მოხერხდა 11 ათას ჰექტარზე საშემოდგომო მარცვლეულის დათესვა. მალე დაიწყება ბოსტნეულის დარგვაც. ამისათვის უკვე გაწეულია წინასწარი მუშაობა, მზადდება ჩითილები ღია გრუნტში გადასატანად. მაგრამ წელსაც იგივე — საწვავის პრობლემა არ ასვენებს მარნეულელებს. მთავრობის მიერ გამოყოფილი 1.000 ტონა დიზელის საწვავიდან და 480 ტონა ბენზინიდან მხოლოდ ერთი ცისტერნა სადიზელო საწვავი მიიღეს აქაურმა სოფლის მშრომელებმა. დანარჩენი კი არ ჩანს. არ ჩანს აგრეთვე მთავრობის მიერ გამოყოფილი 500 ტონა ე. წ. [illegible] საწვავიც, რომელიც 9 ათასი ტონა ვიტამინიზირებული ფქვილის საწარმოებლად და რესპუბლიკის მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის მისაწოდებლად სჭირდებათ მარნეულელებს. ასეთ დროს საფიქრალ-საზრუნავი და, რომ იტყვიან, ნემსის ყუნწში გასაძრომი ბევრი აქვთ რაიონის გამგებელსაც და აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსს ილია დარბაიძესაც. უმთავრესად კი საწვავია სადიზელო. ალბათ მათი ამ უნარის იმედი აქვთ მარნეულის ნავთობაზების მესვეურებს, თორემ ასე როგორ მიატოვებდნენ ამ ღვთისნიერ ხალხს ამ გაჭირვების დროს.

— მაინც როგორ ახერხებთ საწვავის ასეთი დეფიციტიდან თავის დაძვრენას? — ვეკითხები ბატონ ნოდარს.

— მე აქაური კაცი ვარ და მეგობრული კონტაქტები მაქვს როგორც აზერბაიჯანელებთან, ისე სომხებთან. ხშირად მეზობელ რაიონებს შორის არსებული უთანხმოების დროს მომრიგებლად და შუამავლადაც კი მეძახიან. ასე რომ, რაღაცას ვახერხებ ამ კონტაქტების გამოყენებით. აბა, სამუშაოებს ხომ ვერ გავაჩერებ. აი, ხომ ხედავთ, როგორ უნდა ხალხს შრომა? — ამას ხელშეწყობა, ერთთავად ტრიალი და კონკრეტული საქმე სჭირდება. თუ ასე არ გავაკეთეთ, ყველაფერი ძველებურად ჩაკვდება. ყველამ უნდა გაიგოს ეს, რადგან ჩვენ მიერ დაყენებული საკითხები დროის ფაქტორით არის შეზღუდული და იგი მთავრობამ რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა გადაწყვიტოს. ამასთან, უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ სრული დამოუკიდებლობა მივცეთ მარნეულის რაიონს. მას აქვს სათანადო პოტენციალი იმისათვის, რომ დიდი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს. გარწმუნებთ, თუ ხელისშეწყობა იქნა, აქ ძალზე დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება. მესმის, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბებამდე გაძნელდება ასეთი საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ და ამთავითვე ბევრი ხელისშემშლელი პრობლემა მოვაგვაროთ, რადგან დრო არ ითმენს, მაგალითად: ძალზე გვიშლის ხელს მარნეულში სამი ბანკის არსებობა, რაც იწვევს შემოსავლების დაქსაქსულობას, ქაოსს. კარგი იქნებოდა თუ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო სამსახურებიც ორმაგ დაქვემდებარებაში იქნებიან, რადგან მოსახლეობა ძირითადად ჩვენ მოგვმართავს ამ პრობლემებით, ჩვენგან ითხოვს რაღაც საკითხების გადაწყვეტას. ჩვენ კი იმის გამო, რომ ვერ ვახორციელებთ კონტროლს ამ უბანზე, სათანადო ღონისძიებებს ვერ ვიღებთ. ისე კი, უნდა ვთქვა, რომ ვინც იარაღი იშოვა, ყველა აქ დგას და როგორც უნდა ისე [illegible]. პასუხის მომთხოვნი ჯერაც არავინ ჩანს.

ასევეა ე. წ. სამხედრო პოლიციაც. აქამდე ვერ გავიგე, ვის ექვემდებარებიან ისინი. აქაც ორმაგი დაქვემდებარება უნდა იყოს იმისათვის, რომ ეს ხალხი დანიშნულებისამებრ გამოვიყენოთ და რაიონში წესრიგსა და სიმშვიდეს მივაღწიოთ.

კიდევ ერთი პრობლემა გვაქვს — მეუბნება ბატონი ნოდარი და განაგრძობს — მარნეული როგორც იცით, ახლოა თბილისთან და ყველას, ვისაც არ ეზარება, აქვს სურვილი აქ ხელში ჩაიგდოს მიწა. მიწა უნდათ ცალკეულ ორგანიზაციებს, ზოგს სურს სარგებლობაში გადავცეთ მთელი მეურნეობა, ასევე უნდა თავდაცვის სამინისტროსაც. ზოგმა წაართვა კიდეც, მაგრამ.. უკეთესობას რომ ვერ ვხედავთ? გამოსავალი კი იმაშია, რომ ერთხელ და საბოლოოდ დავჯდეთ, ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და რაც საქმესა და ქვეყანას წაადგება, ისე გადავწყვიტოთ.

მე ერთი საყურადღებო წინადადება მაქვს — მინდა აქ აზერბაიჯანთან და სომხეთთან სასაზღვრო ზოლში განლაგდეს საქართველოს შეიარაღებული ან სასაზღვრო ჯარების ნაწილები. ამისათვის სადახლო ტერიტორიაზე — სომხეთთან საზღვრის ზოლში შეგვიძლია გამოვყოთ 100 ჰექტრამდე ფართობი, სადაც ჩავასახლებდით ჩვენი ჯარისკაცების ოჯახებს. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა საზღვრის გამაგრებას, დაამკვიდრებდა წესრიგს და სიმშვიდეს ამ რეგიონში, ამასთან ბევრ საჭირბოროტო პრობლემასაც გადაწყვეტდა.

მართლაც, საყურადღებოა ბატონ ნოდარ მუმლაძის ეს აზრი და ვფიქრობ როგორც ჩვენი ხელისუფლების, ისე სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელები გულთან მიიტანენ ამ საკითხს, მით უმეტეს, რომ მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ აქ ერთი კურდღლის ნაცვლად სამი ან მეტიც მოვკლათ. როგორც იტყვიან, ეს ჩიტი ბღლენად ღირს და მოდით, მართლაც ნუ დავაყოვნებთ.

ჩემი ერთი დღის სტუმრობა ბატონ ნოდარ მუმლაძის სამრეკლოში იმით დავამთავრე, რომ მოძმე აზერბაიჯანში — ყაზახის რაიონში გავყევი მარნეულელთა თავკაცს. წითელ ხიდთან შეწუხებული ახალგაზრდები მოგვეგებნენ მანქანასთან თავისი გასაჭირით, — მათი მანქანა გაეტაცებინა ვიღაცას. ბატონი ნოდარის თხოვნით საქმეში ჩაერთო ყაზახის პოლიცია, რომელმაც, ჩვენდა გასაკვირად, სულ რაღაც ერთიოდე საათში მოძებნა ავტომანქანა. აქ კიდევ მარნეულისათვის ბევრი სასიკეთო საქმის, მათ შორის საწვავის, მაზუთის მიწოდების საკითხის გადაწყვეტის მოწმეც გავხდი. ის კი არა და, ყაზახელებმა თავად შესთავაზეს მარნეულელთა თავკაცს რაიონის ერთი გზატკეცილის საგულისხმო მონაკვეთის აღდგენა და მოასფალტება. აქ კიდევ ბევრი სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხზეც იყო ლაპარაკი. ასე რომ, როგორც ხედავთ, ის ერთი დღე, რომელიც მარნეულის გამგებლის ბატონ ნოდარ მუმლაძის გვერდით გავატარე, მართლაც არნახულად დატვირთული და დაძაბული გამოდგა. იმავე საღამოს სომხეთის მეზობელ რაიონშიც ვაპირებდით გადასვლას იმისათვის, რომ მარნეულიდან გატაცებული საქონლის დაბრუნების საკითხზე გვქონოდა მოლაპარაკება მეზობლებთან, მაგრამ ისე დაგვიღამდა, ისე შემოგვაღამდა დღე ხელში, რომ გრძელ გზაზე წასვლას აზრი აღარ ჰქონდა და ბატონმა ნოდარმა ეს საქმე მომავალი დილისთვის გადადო. ახლა უკვე ვიცი, რომ ეს მისი სტუმრობაც სომხეთის მეზობელ რაიონში პირუტყვის დაბრუნებით დამთავრდა.

დაღლილი, ქანცგაწყვეტილი მოვდიოდი იმ ღამეს მარნეულიდან, გავცქეროდი გზის აქეთ-იქით გადაშლილ მოხნულ სანახებს და გუნებაში ვფიქრობდი:

— არა, არ მოიშლება საქართველო, ქართველობა, ვიდრე გვყავს ადამიანები, ვინც იცის ამის მადლი და იბრძვის მისი სიკეთისათვის.

სადღეისო თემა

ნეტამც კანონი უშველიდეს!..

ლარისა ხუზულური

ზოგიერთმა თავისუფალი ვაჭრობა ისე გაიგო, რომ სადაც მოეპრიანება, იქ ჩადგამს ჯიხურს და რასაც უნდა, იმას გაყიდის. უფრო მეტიც: ქუჩის პირას, ხალხმრავალ ადგილებში, ტრანსპორტის გაჩერებებთან, სადაც უამრავი მტვერი, ხიზინჯი, და ამასთან ერთად, ავტომანქანების გამონაბოლქვია, ღიად ვაჭრობენ კვების პროდუქტებით. ახლა ბაზრების სიახლოვეს გახსნილი „სავაჭრო ობიექტები" ნახეთ, აქ „დახლებზე" ერთად უწყვიათ სარეცხის ფხვნილი, მაკარონი, თევზი, საპონი, ასანთი, რძის ფხვნილი, კარაქი, სხვადასხვა სამრეწველო საქონელი.

სანეპიდსადგურის მუშაკები სადღა არიან, იტყვის მკითხველი, რატომ არ ამოწმებენ და აღკვეთენ ასეთ „სავაჭრო ობიექტებს", რომლებიც ეპიდემიის გავრცელების პუნქტებს უფრო, ვიდრე ვაჭრობისათვის ვარგისს?

სწორედ ასეთი კითხვა დავუსვით თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის მთავარი ექიმის მოადგილეს ანატოლი ხელიძეს. მან გვიპასუხა, ჩვენი სისტემის მუშაკები, ყოველდღიურად ამოწმებენ, როგორც სახელმწიფო სავაჭრო ქსელს, ასევე კერძო ფირმებსა და გაერთიანებებს, რომლებსაც კვების პროდუქტების რეალიზაციასთან აქვს კავშირი, გარკვეულ ადმინისტრაციულ სანქციებსაც მიმართავენ, ბევრს, სერიოზული სანიტარული ნორმების დარღვევების გამო, აუქმებენ, აჯარიმებენ, მაგრამ მიუხედავად ასეთი ღონისძიებებისა, შედეგი მაინც არ ჩანს.

როცა მიზეზის დასახელება ვთხოვეთ, აგვიხსნა:

— სამწუხაროდ, დღეისათვის რესპუბლიკის მასშტაბით არ არსებობს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის კანონი, ხოლო წინანდელი კანონი — საბჭოთა კავშირის დროინდელი — გაუქმებულია, ძალადაკარგულია. მართალია, ამჟამად ამ კანონის პროექტი მომზადებულია და პარლამენტშია დასამტკიცებლად, მაგრამ ჯერჯერობით მისი დამტკიცება ყოვნდება, არადა, უმისოდ ხელ-ფეხ შეკრული ვართ.

კერძო მოვაჭრეებთან სანიტარიული წესების დარღვევის ფაქტს რომ აღმოვაჩენთ და ამის თაობაზე ვსაყვედურობთ, ისინი ასე იმართლებენ თავს: სახელმწიფომ დაგვრთო ნება ჩვენი პროდუქცია ჩვენი შეხედულებისამებრ გავყიდოთ, და თუ რამეს დავაშავებთ, მაშინ პასუხი გვაგებინეთო. მთავრობისგან თავისუფალი ვაჭრობის ნებართვა რომ იქნა დაშვებული, მას არ მოჰყოლია ის ამკრძალავი ღონისძიებები, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას დაიცავდა დაავადებებისა და მოწამვლისაგან.

— ქუჩებში, ყოველგვარი სანიტარიული წესის დარღვევით რომ იყიდება კვების პროდუქტები, ამის აკრძალვის უფლებაც არა გაქვთ?

— ჩვენი შემოწმების ობიექტებია როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატივები და ჯიხურები. რაც შეეხება ინდივიდუალურ კერძო პირებს, რომლებიც უადგილო ადგილას ყიდიან კვების პროდუქტებს, მათ მილიციამ უნდა აუკრძალოს ვაჭრობა. მით უმეტეს, ამის შესახებ არსებობს ქალაქის მერიის მითითება და [illegible] ინდივიდუალური ვაჭრობის კანონი.

გარდა ამისა, ქალაქის მერიისა და ჩვენი ერთობლივი თხოვნით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დროებითი განკარგულება ჯარიმების გამკაცრების თაობაზე, და თუ ადრე, ჯარიმა 10-დან 20 მანეთით განისაზღვრებოდა, ახლა 500-დან 1000 მანეთამდე გაიზარდა. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვინაიდან ჯერჯერობით კანონი არა გვაქვს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სანიტარიული სამსახური, ასეთი დიდი ოდენობის ჯარიმების გამოყენება ყოვნდება.

ჩვენ ვთხოვდით მოსახლეობას, თავისი თანადგომით დახმარება აღმოუჩინონ სანიტარიულ სამსახურს, რომ დაიცვან ყველა ის აუცილებელი წესები, რომლებიც ააცილებს კვების პროდუქტებს დაბინძურებას და მისგან მოსალოდნელ დაავადებების გავრცელებას.

— თქვენი სამსახური თუ სწვდება დედაქალაქში არსებულ ვაჭრობის ასეთ ფართო ქსელს?

— რასაკვირველია, — ვერა. ჩვენ ქალაქის ათივე რაიონში გვაქვს გახსნილი სანეპიდსადგურები და მათ სულ ოცამდე ექიმი ემსახურება, მაგრამ ახლა ყოველდღიურად იმდენი ჯიხური და სავაჭრო ობიექტი იხსნება, რომ მუშაობა გვიჭირს. ამასთან ამ ჯიხურების გახსნა ხდება ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სანეპიდსადგურთან შეუთანხმებლად. ამ შემთხვევაში ასეთი შეუმოწმებელი ჯიხურები მილიციამ უნდა აკრძალოს. ამის თაობაზე ჩვენმა სამსახურმა ბუნების დაცვის ეკოლოგიურ პროკურატურასთან ერთად რეიდიც მოვაწყვეთ და ბევრი ჯიხური ავალებინეთ. მაგრამ, რასაკვირველია, ეს საქმეს არ შველის.

— კერძო სასაუზმეებსა და რესტორნებს თუ ამოწმებთ?

— როგორ არა, სანიტარიული თვალსაზრისით ვამოწმებთ, კერძოდ, ხორცსა და ფრინველზე, აგრეთვე სხვა პროდუქტებზე მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ვეტსამსახურის ან ლაბორატორიის მიერ გაცემული ცნობა, უმისოდ პროდუქტები არ დაიშვება...

— სასმელებზე რაღას გვეტყვით, ხომ ცნობილია ფალსიფიცირებული კონიაკისა და არყისაგან რამდენი შემთხვევაა მძიმე მოწამვლისა?

— სასმელებს ჩვენ არ ვამოწმებთ, მათ ვარგისიანობას სპეციალური ინსპექცია განსაზღვრავს.

ახლა გაზაფხულია. მალე სიცხეები დაიწყება და განსაკუთრებით საშიშია კრემიანი ნაწარმით ვაჭრობა. ისიც ღია ცის ქვეშ და შეუფერებელ ადგილებში, რამაც ბაქტერიოლოგიური დაბინძურება და კუჭ-ნაწლავის ინფექციის გავრცელება შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ გამყიდველმაც და მყიდველმაც ერთნაირად უნდა დაიცვას სანიტარიული წესები და ნორმატივები.

საუბრის დასასრულს, ბატონმა ანატოლი ხელიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ აუცილებელია, პარლამენტმა დროულად მიიღოს სანიტარიული ზედამხედველობის კანონი, რაც მათ საშუალებას მისცემს მილიციასა და პროკურატურასთან ერთობლივი მოქმედებით აამაღლონ ჩვენი სავაჭრო ობიექტების სანიტარიული კულტურა, რითაც დავიცავთ ხალხის ჯანმრთელობას.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

ბატონო რედაქტორო, მადლობას მოგახსენებთ, რომ განახლეთ ეგრეთ წოდებული მაგნიტური დღეების გამოქვეყნება. გთხოვთ, იქნებ სპეციალისტის რჩევაც მოგვაწოდოთ, როგორ მოიქცეს ადამიანი ამ დღეებში, განსაკუთრებით ავადმყოფი, რომ თავიდან აიცილოს გართულებანი.

ლეილა ხუნდაძე, სტომატოლოგი.

კურორტოლოგის რჩევა

გაზაფხულის თვეები, უპირატესად მარტი, და შედარებით ნაკლებად აპრილი, ამინდების არასტაბილურობით ხასიათდება. ამავე თვეებში მაგნიტური ქარიშხლებიც გახშირებულია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მიმდინარეობაზე და ხელს უწყობს მათ გამწვავებას და გართულებას. არაკეთილსასურველი ამინდებისადმი მომატებულ მგრძნობელობას უფრო მეტად ჰიპერტონიით და გულის იშემიით დაავადებულნი იჩენენ.

ქრონიკული დაავადებით შეპყრობილმა ყველა ავადმყოფმა, განსაკუთრებით ჰიპერტონიით და გულის იშემიით დაავადებულმა, აპრილში და მაისში უნდა ჩაიტაროს ლაბორატორიული გამოკვლევები დაავადების მიმდინარეობის მიხედვით (ცვლილებების დროული გამოვლენისათვის) და შესაბამისი პროფილაქტიკური ან სამკურნალო საშუალებების გამოყენებისათვის.

ზამთრის თვეებში ადამიანის ორგანიზმი ულტრაიისფერი სხივების დეფიციტს განიცდის, რაც უარყოფითად მოქმედებს მის იმუნურ სისტემაზე, სისხლმბად ორგანოებზე, ნივთიერებათა ცვლაზე, ძვლოვანზე, „D" ვიტამინის სინთეზზე და სხვა ფიზიოლოგიურ ფუნქციებზე. ამგვარი დეფიციტის შესამცირებლად როგორც მოზრდილებს, ისე ბავშვებს ვურჩევთ ხშირად იყვნენ ჰაერზე, ბაღში, სპორტულ მოედნებზე, ქალაქგარეთ.

მეტეოროლოგიური და გეოფიზიკური ფაქტორებისადმი პათოლოგიური მგრძნობელობის შემცირების საკეთილო საშუალებაა სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, ზომიერი სპორტული ვარჯიშები, სპეციალისტების მეთვალყურეობით ჩატარებული წყლის პროცედურები და ვიტამინოთერაპია.

დაავადებისათვის დამახასიათებელი გამწვავების ნიშნების გამოვლენისას, მიზანშეწონილია შესაფერისი მედიკამენტების მიღება, რასაკვირველია, ექიმის დანიშნულების მიხედვით.

მანანა ტაბიძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

აფხაზეთში ყაჩაღობისათვის შესაფერისი დროა

გია მხეიძე 31 წლისაა, დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში, დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. რვა წელია მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსია.

— როგორი კრიმინოგენული მდგომარეობაა დღეს აფხაზეთში? მხედველობაში მაქვს ის ზონა, რომელსაც აკონტროლებს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

— ძალზე რთული. შარშან საგრძნობლად იმატა მძიმე დანაშაულთა რიცხვმა. 1992 წელს ჩადენილია 3170 დანაშაული, ეს წინა წელთან შედარებით 983 ერთეულით მეტია, დანაშაულის გახსნის პროცენტმა შეადგინა მხოლოდ 32 პროცენტი. მძიმე დანაშაულის გახსნის პროცენტი უფრო დაბალია — 27,2. შარშან აფხაზეთში ჩადენილია 144 მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა. ამ სახის დანაშაული წინა წელთან შედარებით 91 ერთეულით გაიზარდა. ეს არ არის ზუსტი მონაცემები.

— რომელ უბანზეა უფრო რთული სიტუაცია?

— სოხუმში, ძალზე დაძაბულია ოპერატიული ვითარება, სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით დანაშაულმა 878 ერთეულით მოიმატა, რთული ვითარებაა ოჩამჩირის რაიონშიც, **322 დანაშაულიდან 200 გაუხსნელია.** საგრძნობლად იმატა მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის, სახელმწიფო ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის ფაქტებმა.

— რამ განაპირობა დანაშაულის ზრდა, ნუთუ მხოლოდ ომმა?

— დანაშაულის ზრდის ტენდენცია საომარი მოქმედების დაწყებამდეც არსებობდა. ომს თან ახლავს დამნაშავეთა გააქტიურება. კრიმინალურ ელემენტთა აბსოლუტურ უმრავლესობა შეიარაღებულ ძალებს მიეტმასნა და ძარცვა-გლეჯისათვის სიტუაცია გამოიყენა. ამას თან დაერთო დრანდის იზოლატორიდან 1992 წ. 15 აგვისტოს პატიმართა მასობრივი გაქცევა.

დანაშაულთა უმრავლესობა სამხედრო მოსამსახურეებზე მოდის. ქვედანაყოფებში სუსტია დისციპლინა. საგრძნობლად იმატა შურისძიების მიზნით ჩადენილმა დანაშაულმა, რაც გუდაუთაში და გაგრაში ქართველი მოსახლეობის მასობრივმა მკვლელობამ, ძარცვამ და ყაჩაღობამ გამოიწვია.

— დღეს ფრონტის ხაზი თითქმის სოხუმზე გადის, თქვენი სამსახური ამან ალბათ ბევრი სირთულეების წინაშე დააყენა.

— ფრონტის ხაზიდან ქალაქის საზღვრამდე ერთი-ერთნახევარი კილომეტრია, ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს კრიმინოგენულ სიტუაციაზე. ჩვენი სამსახურის პირადი შემადგენლობა ხშირად გადის ფრონტის წინა ხაზზე, ამით სარგებლობენ დამნაშავე ელემენტები და აქტიურობენ. გვიხდება სოხუმის აეროპორტის, საზღვაო პორტის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების დაცვაც.

— კონკრეტულად რომელ რეგიონებს აკონტროლებთ?

— ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ ქალაქ სოხუმს, სოხუმის რაიონს, ოჩამჩირის რაიონის უმეტეს ნაწილს და გალის რაიონს. ბევრგან დაძაბული ვითარებაა. შედარებით სტაბილური მდგომარეობაა გალის რაიონში.

— რა კონტაქტი გაქვთ სამხედრო კომენდატურასთან?

— მე დანიშნული ვარ სოხუმის სამხედრო კომენდანტის პირველ მოადგილედ, რამდენიმე ოპერატიული მუშაკი ასევე შეყვანილია კომენდატურის სტრუქტურაში. მე, როგორც სამხედრო კომენდანტის პირველი მოადგილე, ამავე დროს ვარ სოხუმის საზღვაო პორტის კომენდანტიც. ისე რომ, ჩვენს სამსახურებს ძალიან მჭიდრო კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან. ერთობლივად დავდივართ გამოძახებაზე, შემთხვევების ადგილზე და ა. შ..

— აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება ახალი სტრუქტურები, რაც თავისთავად მოითხოვს და გულისხმობს ახალი მეთოდებით მუშაობას. ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც ვაღწევთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ წინააღმდეგობას ვაწყდებით. თუმცა ჩვენი სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა, კერძოდ, ბატონი დავით გულუა ყველაფერს აკეთებს დამნაშავეობასთან ბრძოლის ქმედითუნარიანობისთვის.

გურამ მგალობლიშვილი.
ქ. სოხუმი.

• • •

სურათზე: შ. ს. ს.-ს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი, სოხუმის საზღვაო პორტის კომენდანტი **გია მხეიძე** (შუაში) დავალებას აძლევს თანამშრომლებს.

ყურადღება!

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო მიმდინარე წლის 19 მაისს 11 საათზე, დავით აღმაშენებლის გამზირზე № 154, „კავგიპროტრანსის" შენობის მე-2 სართულზე სხდომათა დარბაზში ატარებს IV აუქციონს. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

— ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები:

ობიექტის დასახელება და მისამართი	ობიექტის პროფილი	დაკავებული ფართობი (კვ. მ.)		სამუშაო ადგილების რაოდენობა	სასტარტო ფასი (ათასი მან.)
		საერთო ფართი	სავაჭრო ფართი		
ნაძალადევის რაიონი					
1. პავილიონი № 1-ის ფილიალი № 1 კოლექტივიზაციის 20	სურსათით ვაჭრობა	5.0	5.0	2	632.9
2. პავილიონი № 1-ის ფილიალი № 2 ბექაურიშვილის 27	სურსათით ვაჭრობა	10.0	10.0	2	356.2
3. პავილიონი № 2 ფილიალი ხორნაბუჯის 22	სურსათით ვაჭრობა	70.0	70.0	3	1425.6
4. პავილიონი № 3-ის ფილიალი № 1 პირველი ძმობის 1	სურსათით ვაჭრობა	16.0	16.0	2	296.7
5. პავილიონი № 3-ის ფილიალი № 2 უნიკალის 68	სურსათით ვაჭრობა	40.0	40.0	3	1003.2
ისნის რაიონი					
6. მაღაზია № 36 წალენჯიხის 112	სურსათით ვაჭრობა	26.0	12.0	3	579,0

შენიშვნა: ყველა ზემოთაღნიშნული ობიექტი განთავსებულია ცალკე მდგომ შენობებში.

— ბენზინის გასამართი ავტომატური სადგურები:

1. ავტოგასამართი სადგური № 29, რომელიც მდებარეობს ისნის რაიონში, წერნაქის შეს. და ნავთლუღის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ბ. ს. კონტეინერის ტიპისაა, სასტარტო ფასია 5 მლნ. მანეთი.

2. ავტოგასამართი სადგური № 28, რომელიც მდებარეობს დიდუბის რაიონში, დიდი დიღომი-გლდანის გზატკეცილზე ა. ბ. ს. კონტეინერის ტიპისაა, სასტარტო ფასია 6 მლნ. მანეთი.

ობიექტების გაყიდვა მოხდება კუპონებით. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა მიმდინარე წლის 18 მაისს, 11 საათამდე არსებული წესის მიხედვით უნდა წარმოადგინონ განაცხადი სახელმწიფო ქონების მართვის საქალაქო სამმართველოში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა № 4, მესამე სართული, ოთახი № 12; განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირველადი შესატანი (ბე) და სახელმწიფო მისაგებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. პირველადი შესატანის (ბე) რაოდენობა ობიექტის ღირებულების 10 პროცენტია, ხოლო სახელმწიფო მისაგებელი იურიდიულ პირთათვის შეადგენს 5000 მანეთს, კერძო პირთათვის — 1000 მანეთს.

აუქციონზე დასწრება მონაწილეობის უფლების გარეშე შეუძლია ყველას, ვინც შეიძენს შესასვლელ ბილეთს.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 98-34-81.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო.

მადლობა ევროპარლამენტიდან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ჭანტურიას

ძვირფასო მეგობარო!

ევროპარლამენტის დელეგაცია დაბრუნდა კავკასიაში მოგზაურობიდან. ქართველი ხალხის, განსაკუთრებით თქვენი და თქვენი კოლეგების გულთბილი მასპინძლობა სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. ვიმედოვნებ, რომ შევძლებთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და ევროპის სახალხო პარტიის ქრისტიან დემოკრატთა ჯგუფს შორის ურთიერთობების განვითარებასა და გაგრძელებას. ღრმეს მადლობას გიხდით აგრეთვე იმ მოლაპარაკებებისათვის, რომელიც მქონდა პირადად თქვენთან და თქვენს კოლეგებთან, მისი უწმინდესობა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან. შეხვედრის დროს ჩასახული იდეა ბრიუსელში ეპისკოპალურ-ჰაინფორმაციო ვიზიტის თაობაზე სიამოვნებით იქნა მიღებული. გთხოვთ, გადასცეთ ეს მის უწმინდესობას, აგრეთვე ჩემი გულითადი მოკითხვა იმ აუდიენციისათვის, რომელიც მან მე და ჩემს მეუღლეს მოგვიწყო.

ველოდები ცნობებს თქვენი პარტიის წარმატებების შესახებ. მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი.

ღრმესი პატივისცემით
ჟულიო ჩეზარე გალენსი,
ევრო-პარლამენტის დეპუტატი.

საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა

გაიმართება 1993 წლის 24 და 25 აპრილს.

მისამართი — ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 7. ცეკავშირის შენობა.

დელეგატთა რეგისტრაცია — 24 აპრილს, 9 საათიდან.

ყრილობის გახსნა — დილის 10 საათზე.

საქართველოს სახალხო ფრონტის საორგანიზაციო განყოფილება.

წერილი რედაქციას

სარაჯიშვილი ამას იმსახურებს!..

მიუხედავად ძნელბედობისა, დროთა კავშირი აღდგა. ქველმოქმედებას ფართო გზა მიეცა, მოყვასის სიყვარული თანდათან ცხოვრების წესად შემოდის და ამასთან ერთად ძველი იდეოლოგიის მიერ განზრახ მივიწყებულ საზოგადო მოღვაწეთა სახელებს უბრუნდება პატივი და ეროვნული მოწიწება. მათ შორის არის დავით სარაჯიშვილი — კაცი მეცენატი, მოაზროვნე, მეცნიერი, მეწარმე. ჩვენი წარსულის სიდიადე ასეთი ადამიანების, პიროვნებების კეთილ საქმეთა ღვაწლითაა გამორჩეული, მათი მცდელობით, თავდადებით, უანგარო ქმედებით განხორციელდა ბევრი რამ ერისათვის სასიკეთო.

დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობა თანამედროვეთა პატივისცემითა და მოკრძალებით იყო გარემოცული. საქართველოს ერთგულ და გამორჩეულ შვილებს ის მიაჩნდათ, როგორც მაგალითი ამქვეყნიურ ყოფაში მოქალაქეობრივი დანიშნულებისა, როცა ის აღესრულა, ყალმოხდილ მოღვაწეს ერმა სიკეთის მსახურებაში დაღლილ ძვალთა განსასვენებლად დიდუბის ეკლესიის გალავანში მიუჩინა სასუფეველი. ჟამთა სიავემ დავით სარაჯიშვილის და მისი სწორუპოვარი მეუღლის, ქალბატონ ოლღა ფორაქიშვილის საფლავსაც დარია მსახვრალი ხელი. პირისუფლებმა 1939 წელს დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, იძულებით, ათი დღის ვადაში, ცოლ-ქმრის ნეშტი ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს...

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო დროს კეთილშობილების აზრი უბრუნდება თავის ერთადერთ გზას — სიკეთის გზას. სულ ახლახან შეიქმნა დავით სარაჯიშვილის საზოგადოება, რომელმაც დიდი წინაპრის ტრადიციის გაგრძელება ითავა. თბილისის კონიაკის ქარხანას მიეკუთვნა მისი სახელი, ავჭალის გზატკეცილსაც დავით სარაჯიშვილის სახელი დაერქვა. კონიაკის ქარხნის ეზოში დაიდგა დავით სარაჯიშვილის ბრინჯაოს ძეგლი. ქარხნის მესვეურები დიდი ტრადიციის აღდგენას ცდილობენ და ამისთვის ძალას არ იშურებენ.

დავით სარაჯიშვილის გამზირი იწყება თემქის მეტროდან და, ალბათ უფრო უპრიანი იქნებოდა, ეს **სადგური დავით სარაჯიშვილის სახელით იწოდებოდეს.** მეტროს სადგური ქალაქის დინამიური არტერიაა და ამდენად ერის რჩეული შვილის უკვდავყოფა და უკვდავი სახელის ხსოვნება განუყოფელი ხდება ადამიანის მეხსიერებისათვის.

ახლა, ერთი საკითხიც: როცა რუსთაველის პროსპექტზე, დედაქალაქის გულში, დავით სარაჯიშვილის იდეითა და ქველმოქმედებით აშენებული ქაშვეთის ეკლესიის პირველადი ჩანაფიქრით აღდგენა სრულდება, ქაშვეთის ეკლესიის განახლებული კარიბჭე, თითქოს თხოულობს **ამაგდარის ნეშტს, სამარეში ხელყოფილი ოჯახის მის სავანეში განსვენებას.** ყველაფერი თავის წრეს უბრუნდება, ეს აქტი მადლიერების საწინდარი იქნება, რადგან არ იკარგება კვალი კეთილი, რომელიც მრავალთათვის გზის მაჩვენებელი და ახალ ქველმოქმედებათა საწინდარი იქნება.

თენგიზ კიკალიშვილი,
მოქანდაკე,
ბელა მუხაშავრია,
ქირურგი,
დავით ახვლედიანი,
არქიტექტორი.

ხსოვნა

ქსენია ჯიქია

გარდაიცვალა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი, თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-8 სამუსიკო სასწავლებლის ყოფილი დირექტორი ქალბატონი ქსენია ილარიონის ასული ჯიქია.

დაიბადა 1915 წელს ქ. ქუთაისში.

1937 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია ფორტეპიანოს სპეციალობით. ცოდნის გასაღრმავებლად 1938 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში — პროფესორ გ. ნეიგაუზის კლასში, რომელიც დაამთავრა 1946 წელს. ამავე წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა მე-4 სამუსიკო სკოლაში და სასწავლებელში პედაგოგად. ხოლო 1951 წლიდან ამავე სკოლისა და სასწავლებლის დირექტორად. 1959 წლიდან პარალელურად მუშაობდა ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგად.

მთელი მოღვაწეობის მანძილზე იგი გამოირჩეოდა როგორც ნიჭიერი, ენერგიული, მზრუნველი, საქმის მცოდნე ხელმძღვანელი და კარგი ორგანიზატორი.

მისი დირექტორად მოღვაწეობისას, სასწავლებელში აღიზარდა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა პლეადა — საქართველოსა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებისა, რომელთა დიდი უმრავლესობა ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საშემსრულებლო მოღვაწეობას რესპუბლიკასა და რესპუბლიკის გარეთ.

წავიდა ჩვენგან უღრმესად გულისხმიერი ადამიანი, რომელიც დიდი სიყვარულით სარგებლობდა მეგობრებსა და კოლეგებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-8 სამუსიკო სასწავლებელი.

ბეჟან ბარჯაძე

ქართველ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება და სპეციალისტი ბეჟან ბარჯაძე. იგი დაიბადა 1931 წელს ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენში. 1958 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ადიგენის რაიონში, ჯერ ეპიდემიოლოგად, შემდეგ კი რაიონის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმად. 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი მუშაობდა ს. ვირსალაძის სახელობის ინსტიტუტში, სადაც, თავისი გამორჩეული ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორი გახდა. ბატონი ბეჟანი იყო ერუდირებული მკვლევარი, 60-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი გამოგონების ავტორი.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ბატონ ბეჟანს, მოპოვებული ჰქონდა დიდი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული.

წავიდა ჩვენგან მაღალი ზნეობისა და ინტელექტის პიროვნება, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; მიკრობიოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და პარაზიტოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება.

აპოლონ გულორდავა

გარდაიცვალა თადარიგის პოლკოვნიკი, ფოთის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს ომის ვეტერანთა სექციის თავმჯდომარე, მრავალი საბრძოლო ჯილდოს კავალერი აპოლონ თეიმურაზის ძე გულორდავა.

დაიბადა 1922 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში. პედსასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოფლის მასწავლებლად, 1941 წლიდან გაიწვიეს ჯარში, იცავდა კავკასიას. 1956-1962 წლებში იყო აბაშის რაიონის, 1962-1974 წლებში — ქალაქ ფოთის სამხედრო კომისარი. სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ მუშაობდა ფოთის საბაჟოს უფროსად, ბოლო დროს კი ამავე საბაჟოს მთავარ ინსპექტორად. იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდა სპეციალისტებს.

აპოლონ გულორდავა იყო ფოთში ვეტერანთა მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები და ორგანიზატორი, სოციალურად ნაკლებად დაცულ პენსიონერთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის უანგარო მზრუნველი.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

ფოთის ვეტერანთა საქალაქო საბჭო; ფოთის საბაჟოს კოლექტივი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1993 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამგე, დოცენტი
გიორგი იასონის ძე ხუციშვილი

გამოქვეყნებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

The Embassy of the United States of America is seeking candidates for the position of Commercial Assistant. Required qualifications include the following:

EDUCATION: University Degree with training in international trade, economics, and marketing

WORK EXPERIENCE: 3-5 years experience in international business or marketing

SKILLS: Fluent English required including excellent English writing and word processor skills

Those interested in applying should obtain an application from the U.S. Embassy, 25 Atoneli Street. Applications are available during reception hours: 11:00-12:00 and 15:00-16:00, Monday through Friday. Completed applications will be accepted until April 28.

პოლიციის სუსხიანი გაზაფხული

ზაურ მაკარაძე

კვლავ ძლიერი და მეტად საშიშია რვაფეხა — კრიმინოგენული სატანა, თუმცა დრომ დაადასტურა, რომ მის წინააღმდეგაც შეიძლება თურმე წარმატებით ბრძოლა.

დაახლოებით ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, როცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციისა და სხვა სამსახურების მიერ წლეულს, პირველ კვარტალში გაწეულ მუშაობას გაეცნობი.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ სხვაზე უკეთ უწყის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბი.

აქ იყრის თავს თითქმის მთელი კრიმინალური ინფორმაცია.

მუდამ მოუცლელია შტაბის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ედუარდ გენძეხაძე: ათასი საქმეა საკეთებელი, დროა ასეთი, აუღელვებლად ვერ გაეცნობი უმძრალეს კრიმინალურ ქრონიკას. ათასობით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული — მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ქურდობა, სამეურნეო, თანამდებობრივი და ორგანიზებული დანაშაულობები, კორუფცია, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის მასშტაბის არნახული ზრდა. ერთი სიტყვით, კვლავ მეტად მძიმე სურათია.

„სადა არს ძლევაი შენი, სიკვდილო, სადა არს საწერტელი შენი, ჯოჯოხეთო?"

ნუთუ „შიშია" ჩვენი „გადამრჩენელი" და თუ კვლავ „შიში" არ დავამკვიდრეთ, ვერ დავთრგუნავთ ბოროტების, შურის, გაუმაძღრობის სინდრომს, მაგრამ შიშიც ხომ ბოროტებაა?

კრიმინალური პოლიცია აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ სხვა რომ არ აკეთებს? ძნელია სრული წესრიგი გქონდეს იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი მიეჩვია უწესრიგობას, სადაც ამპარტავნება ცხოვრების წესად იქცა, ძარცვა, ყაჩაღობა და ქურდობა კი ქვეყნის ნორმად, კეთილდღეობის წყაროდ.

წლეულს, სამ თვეში რეგისტრირებულია 4914 სისხლის სამართლის დანაშაული. ეს ცოტათი აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს, სამაგიეროდ, გაიზარდა დანაშაულობათა გახსნის პროცენტი.

კრიმინალური პოლიციის ცალკეული სამსახურების მიერ პირველ კვარტალში დაკავებულია 271 ყაჩაღური ჯგუფი 738 ბოროტმოქმედის შემადგენლობით. ჩამორთმეულია 2 ათას ერთეულზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 162 ავტომატი, 159 ხელყუმბარა, 75 პისტოლეტი და რევოლვერი, 1109 კაპსულდეტონატორი, დადგენილი და დაკავებულია 182 ძებნილი დამნაშავე, დაძებნილია 162 ავტომანქანა, ჩამორთმეულია 324 ამპულა მორფინი, 727 გრამი ოპიუმი, 5178 გრამი კოკნარი, 2414 გრამი მარიხუანა, 1325 გრამი ჰაშიში, 76047 აბი დიმედროლი, სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულობებთან მებრძოლი სამმართველოსა და საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლების მიერ ამოღებულია და სახელმწიფო ხაზინაში დაბრუნებულია ასეული მილიონი მანეთის ფულადი სახსრები, სხვადასხვა მატერიალური ფასეულობანი.

მარტო წინა კვირაში რესპუბლიკაში 40 მკვლელობა დაფიქსირდა, რომელთაგან გახსნილია 19, დაძებნილია 7 ავტომანქანა, ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერებები, დაკავებულია 51 ყაჩაღური ჯგუფი 151 ბოროტმოქმედის შემადგენლობით.

სტატისტიკა ყოველთვის ვერ ასახავს ზუსტად რეალურ სიტუაციას, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ციფრები რაღაცას მაინც „ამბობენ" და ერთხელ კიდევ გვარწმუნებენ იმ ბრძოლის აუცილებლობაში, რომელიც ახლა მიმდინარეობს. აქედან ისიც ნათლად ჩანს, თუ როგორ დანაშაულებრივ სტიქიასთან გვაქვს საქმე და როგორი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ აღარასოდეს დაუბნელოს ამ „უჯიათმა" გონება ადამიანებს, აღარასოდეს გადაჩეხოს ისინი უფსკრულში, აღარასოდეს გამოსცადოს ჩვენი ნებისყოფა და იხარხაროს ჩვენზე.

„სტატისტიკა დამძიმდაო", ამბობენ „შტაბელები" და ეს „დამძიმება" თქვენთვის კარგად ცნობილი მიზეზების გარდა, რამდენიმე დადებითმა ტენდენციამაც განაპირობა. შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაუმჯობესდა დანაშაულის აღრიცხვა და რეგისტრაცია, ხალხიც ახლა უფრო ენდობა პოლიციას — საშველად მიმართავს; გაიხსნა წინა წლებში მომხდარი ბევრი დანაშაული, „ჭირმა თავი ვერ დამალა".

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრ ხელმძღვანელ მუშაკთან ვისაუბრე. ისინი, ჩვეულებრივ, 24 საათი პოსტზე არიან. მათ სჯერათ, რომ პოლიციას ძალუძს ქვეყანაში სრული წესრიგისა და მშვიდობის დამყარება. ამ მხრივ გაწეული მუშაობა გაცილებით ეფექტიანი იქნებოდაო, ამბობენ, ჩვენგან დამოუკიდებელი პრობლემები რომ არ არსებობდესო.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

არავისთვის საიდუმლო არ არის რომ უწესრიგობის ერთგვარი კატალიზატორის როლს აფხაზეთის ომი ასრულებს. ოდითგანვე ასეა: საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, იმის ნაცვლად, რომ შეკავშირებულიყავით, ქუდზე კაცი გამოსულიყო და მოგვეგო ეს ომი, გათვითცნობიერებულიყო, ჩაგრულ-ჩაგრულად დაიყო ერი, იარაღი აისხა და საყაჩაღოდ გავარდა. აფხაზეთშიც ბევრი პატრიოტის ნიღბით ჩავიდა და ისე დაბრუნდა უკან, ყაჩაღის რეპუტაციით, რომ ცოცხალი მტერი თვალითაც არ უნახავს, ჩამოვიდა ნაქურდალით დატვირთული და მეორე, გაცილებით საშიში კრიმინალური ფრონტი გაუხსნა სამშობლოს.

ჩვენში ხშირად საათობით არკვევენ „ჩიხირთმა უკეთესია თუ ბოზბაში", ამ დროს პოლიციას სამართლებრივი ბაზა არა აქვს, მისაღებია ათეულობით კანონი, იურიდიული და საკანონმდებლო აქტი, თანამედროვეობის დონეზეა გასაახლებელი ბევრი დანაშაულის კვალიფიკაცია. სხვანაირად ჩიხში ვართ, ხშირად კაცი კაცს კლავს და აქეთ გვიდავება, მართალი ვარო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ე. წ. „ლინჩის წესით" გასამართლების შემთხვევები. ვიცი, ბევრი ტაშს უკრავს ლინჩს, გულს იოხებს: ეგრე უნდა! ასე არ გვეშველება! „ლინჩს" — ავითარებს რა კოლექტიურ ფსიქოზს, კოლექტიურ დანაშაულს — ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავს. სისხლისაგან გაბრუებული მგლების ხროვა ვართ თუ ცივილიზებული ერი? ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს ის, დაუსჯელი არ დარჩება. ეს „ლინჩის" წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი გზაა, თუმცა, ასეც რომ არ იყოს, ჩაქოლვას ვერავინ გაამართლებს და მისი ორგანიზატორები გაცილებით მკაცრად უნდა ისჯებოდნენ.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულთა დიდი ნაწილი ალკოჰოლური და ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაშია ჩადენილი.

დღეს არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება ალკოჰოლური სასმელების წარმოება და ვაჭრობა. ყველა კუთხე-კუნჭულში იყიდება ფალსიფიცირებული საწამლავი; ამჟამად, შეიძლება ითქვას, „ჯველა სვამს"... გალოთებამდე, ეროვნული პოტენციის დაკარგვამდე ერთი ნაბიჯიღაა. ნუთუ ვერავინ ამჩნევს ამას?

სხვა საკითხია ნარკომანია.

მეცნიერ-სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა აზრით, საქართველოში დღეს 100 ათასზე მეტი ჩამოყალიბებული ნარკომანი და 200 ათასამდე ნარკოტიკების მომხმარებელია, ოფიციალურად კი რაღაც 4 ათასია რეგისტრირებული. ეს თითქმის კატასტროფაა — არასრულწლოვან ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი დღეს იმდენია, რამდენიც 10 წლის წინათ „სტაჟიანი" ნარკომანი იყო, — ამბობს კრიმინალური პოლიციის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ჯემალ ჯანაშია, — ამჟამად დამუშავების პროცესშია საქართველოს რესპუბლიკაში ნარკოტიზმის, ნარკობიზნესისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ დარგის სერიოზული სპეციალისტების ნამუშევარია, თუმცა ჩვენს შეშფოთებას იწვევს მისი ერთი ადგილი (პუნქტი 2. 11), სადაც შავით თეთრზე ასეთი რამ წერია: „საქართველოს რესპუბლიკა ამიერიდან უარს ამბობს ნარკომანებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლების მიმართ სისხლის სამართლებრივი სასჯელის ღონისძიებების გამოყენებაზე ნარკოტიკული საშუალებების ხმარებისათვის ან ამ საშუალებების გასაღების მიზნის გარეშე, ანუ საკუთარი მოხმარებისათვის, დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის, თუ მათ ქმედებაში არ იქნება რაიმე სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები".

— ეს ხომ ფაქტობრივად ნარკომანიის ლეგალიზაციის ნიშნავს?

— ასეა. ეს ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო პრიორიტეტულ მიმართულებებს ამ სფეროში. ამ გზით სვლა პოლიტიკურადაც წამგებიანი იქნება და საქართველოსაც იგივე ბედი ეწევა, რაც ჰოლანდიას, ვშიშობ, რომ საკითხის ასე დასმით ჩვენი ქვეყანა შეიძლება მთელი კავკასიის ნარკობიზნესის ცენტრად გადაიქცეს. თვით შუა აზიის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც ტრადიციულად ნარკოტიკების მოხმარების ცენტრებად ითვლებიან, ამ პრობლემას სულ სხვანაირად უყურებენ. საერთოდ, მე წინააღმდეგი ვარ ნარკომანიის ყოველგვარი ლეგალიზაციის. — თქვა დასასრულ ბატონმა ჯემალმა.

ასეთია ჩვენი მდგომარეობა. კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლას უკვე 30-მდე პოლიციელი შეეწირა. ესეც არ არის მცირე მსხვერპლი.

P. S. ამ დღეებში რამდენიმე მეტად არასასიამოვნო შემთხვევა მოხდა.

18 აპრილს თბილისის მეოთხე საავადმყოფოში შეიჭრნენ გვარდიის ფორმაში ჩაცმული დამნაშავეები, რომლებმაც იარაღის მუქარით აიძულეს ექიმი მანაშეროვი მათთვის ნარკოტიკული ნივთიერება გადაეცათ. საავადმყოფოს დასაცავად გამწესებული ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების რიგითი პოლიციელი კობა სულაძე, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა განაიარაღეს, წაართვეს ტაბელური იარაღი, შემდეგ წაიყვანეს და სასტიკად სცემეს. მაშინვე გატარდა ოპერატიული ღონისძიებები, რომელთა შედეგად დააკავეს „თეთრი არწივის" ბატალიონის ორი წევრი, ამოიღეს გატაცებული იარაღი, პოლიციელი კ. სულაძე კი მე-4 საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

წინა დღით კი გვარდიისფორმიანმა ბოროტმოქმედებმა გატაცების მიზნით, იძულებით გააჩერეს ავტომანქანა „ჟიგული", რომელსაც მართავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ხუჭუა, მას თან ახლდა მოქალაქე ჯემალ ბარნაბიშვილი. წინააღმდეგობის გაწევისას ბოროტმოქმედებმა ადგილზე მოკლეს ვ. ხუჭუა, ჯ. ბარნაბიშვილი კი დაჭრეს, გაიტაცეს ავტომანქანა და მიიმალნენ.

მაგრამ ვერც ისინი წავიდნენ შორს. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს ადგილზე მოკლულ იქნა 25 წლის მოქალაქე ზაქრო ნონიაშვილი, ერთი, გვარდიის სწრაფი რეაგირების ბატალიონის მებრძოლი კი დაკავებულია.

პოლიციას სუსხიანი გაზაფხული უდგას.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამმართველო სამხედრო სამსახურში იწვევს:

— საინჟინრო ჯარების ოფიცრებს, რომელთაც დაამთავრეს კალინინგრადის, ტიუმენის, კამენეც-პოდოლსკის სასწავლებლები, კუიბიშევის სახელობის აკადემია, ასაკობრივი ზღვარი ოფიცრებისათვის 65 წლამდე.

— მესანგრეებს; საინჟინრო მანქანების მძღოლ-მექანიკოსებს, შემდეგ მანქანებზე „გმზ", „ურ-77", „მდკ", „ბატ", „პზმ", „ტმმ", „მტუ-20", ექსკავატორებზე და სხვა, 40 წლის ასაკამდე.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტელ.: 89-17-49.

საინჟინრო ჯარების სამმართველო.

კორპორაცია „НИПЕК"-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს რეგიონში ერთობლივი საწარმო „შინო-ინვესტი" კორპორაციის აქციონერებს აცნობებს, რომ ამა წლის 29 მარტს მოსკოვში გაიმართა „НИПЕК"-ის აქციონერთა საერთო კრება. კრებამ ფარული კენჭისყრით გადაწყვიტა, რომ 1992 სამეურნეო წლის მთელი მოგების ინვესტირება მოხდეს წარმოების განვითარებაში და წელს დივიდენდები არ გაიცეს.

იმ აქციონერებისაგან, რომლებიც გადაწყვეტენ კუთვნილი აქციების გაყიდვას, „შინო-ინვესტი" თითო აქციას გამოისყიდის 2500 მანეთად ამა წლის 5 მაისამდე.

რაიონში მცხოვრებ აქციონერებს შეუძლიათ აქციები გაყიდონ მინდობილობით სხვა პირის მეშვეობით.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 89/24, „საქქალაქპროექტის" შენობა (მეტრო „მარჯანიშვილთან"), მე-3 კორპუსი, მე-6 სართული, ტელ.: 95-81-68.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА